გილოცავთ ქრისტეშობას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 7 იანვარი, 2022 | №5 (8783) | ფასი: 60 თეთრი

პოლონეთში 4 ქართველი მამაკაცი დააკავეს

გვ.5

გვ.5

დავით კრავეიშვილის მკვლელობაში ბრალდებულები დანაშაულს არ აღიარებენ

„თელმიკოს“ მოწილე კახა კალაძეა და მოსახლეობას აღვირახსნილად ძარცვავს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „საარჩევნო წელი არ არის და „ბიჭებმა“ გადაწყვიტეს, ცხოვრება გაგვიძვირონ“

გვ.2

„საპატიმროებებს სერიოზულად არ აღვიქვამ — ერთ დღეს კვდება, მერე ეკონომიკურ პროგრამას წერს“

დავით ზურაბიშვილი: „დანარჩენი ოპოზიცია ნაცმოძრაობის პოლიტიკური მძევალი გახდა“

„ქართულ ოცნებაში“ ლიდი დაპირისპირებაა“

ვახტანგ მაისაია: „საქართველოში ეკონომიკური მართვის გუნდი არ გვყავს“

გვ.4

გვ.2

ხატია დეკანოიძე: „შავ სიებთან“ დაკავშირებით მე უფრო ფრთხილი ვიქნებოდი“



გვ.3

აშშ-რუსეთის კონფლიქტი გარდაუვალია

რუსეთის პოლიტიკა და ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის. პუტინი აფართოებს რეპრესიებს

ISSN 1987-9385

3 ბიძინა კულუმბეგოვი: „ყველაზე კარგი იმუნური პასუხი „ბუსტერიან“ აღამიანებს უღასტურდებათ“

2 სემეკი: „შუქის, წყლისა და გაზის ტარიფის ზრდა არ განიხილება“

5 საპატიმროებიდან ულტიმატუმი იანვრის ბოლომდე გაღასნია

6 ალმათიში დემონსტრანტებმა 2 პოლიციელს თავი მოჰკვეთეს

„სააკაშვილის მოწოდებებს სერიოზულად არ აღვიქვამ — ერთ დღეს კვდება, მერე ეკონომიკურ პროგრამას წერს“

დავით ზურაბიშვილი: „დანარჩენი ოპოზიცია ნაცმოძრაობის პოლიტიკური მძევალი გახდა“

იაგო ნაცვლიშვილი

რა საერთო და რა განსხვავებაა ყაზახეთსა და საქართველოს შორის? რამდენად გამართლებულია სააკაშვილის იდეა ე.წ. შავ სიასთან დაკავშირებით და რატომ თვლის, რომ საპარლამენტო ოპოზიციამ ნაციონალურ მოძრაობას უარი უნდა უთხრას საგამოძიებო კომისიის შექმნაზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.

– ვხედავთ ყაზახეთის მოვლენებს და გაკეთდა საქართველოსთან ანალოგები, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ეს და ა.შ. რამდენად რელევანტურია ეს შედარება და გვაქვს რამე საერთო ამ ორ ქვეყანას, გარდა იმისა, რომ ორივე საბჭოთა კავშირის წევრი იყო?

– რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავებული სიტუაციაა. ყაზახეთი და საქართველო ფუნდამენტურად განსხვავებული ქვეყნები არიან. საბჭოთა კავშირის მერე ეს ორი ქვეყანა აბსოლუტურად სხვადასხვა გზით წავიდა და დღეს გაცილებით მეტია მათ შორის განსხვავებები, ვიდრე ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც ასევე საკმაოდ განსხვავებები იყო, როგორც მოკავშირე ქვეყნებში.

მე ვფიქრობ, რომ სრულიად სხვა რეალობაა. იქ, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, ხელისუფლება არ შეცვლილა, ნაზარბაევის კლანის მმართველობა იყო დიდი ხანი, ჯერ ფორმალური და მერე – არაფორმალური. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი არ არსებობს, ასევე არ არსებობს თავისუფალი მედია და არასამთავრობო სექტორი. არის ერთი კლანის მმართველობა. ასეთი სიტუაცია ჩვენთან არ არის. პლუს, ეს ქვეყანა ძალიან ძლიერად არის ინტეგრირებული რუსეთთანაც, ჩინეთთან – ძალიან ძლიერად და დასავლეთთანაც არის სუსტად – ინვესტიციები კი არის, მაგრამ ამას მაინცდამაინც პოლიტიკური მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. სამხედრო-პოლიტიკურად დასავლეთი ფაქტობრივად არ არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, საქართველოსთან მისი შედარება რთულია.

კი, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება დემოკრატიული არ არის, მაგრამ მთლად ასეც არ არის, რომ ოპოზიცია არ იყოს ჩვენთან, მედია და არასამთავრობო სექტორი. მთლად ასეთი მძიმე სიტუაცია არ გვაქვს. პლუს, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენა განუზომლად მეტია და ეს გამოჩნდა კიდეც ამ მოვლენების დროსაც.

– თუ ასე ინერტულები ვიქნებით კიდევ რამდენიმე წელი, ალბათ ეგეც გვექნება.

– ეს ინერტულობაზე არ არის მიბმული. რა თქმა უნდა, მე არ ვარ ინერტულობის მომხრე, მაგრამ ეს სამსჯელო საკითხი უფროა, ვიდრე ცალსახად რომ შევაფასოთ ასე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვართ რუსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში. რუსეთს აქვს გარკვეული გავლენა საქართველოში, მაგრამ პრაქტიკულად არანაირი გავლენა არ აქვს პოლიტიკურ პროცესებზე. ეს არის ძირითადად აქაურების ინიციატივები, რომლებიც, შესაძლოა, თანხვედრაში მოდიოდეს რუსეთის ინტერესებთან და არა ის, რომ ის კარნახობდეს იქიდან რაღაცას.

„ყაზახეთში რუსული ჯარის შეყვანის გამო დასავლეთის პოზიცია უკრაინა-საქართველოსთან დაკავშირებით უფრო მტკიცე იქნება“

– ყაზახეთში რუსეთის ჯარების გადასროლა რას ნიშნავს ე.წ. სამშვიდობო მისიით?

– ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთი მას თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს. ყაზახეთის ხელისუფლება ვინც არის დღეს, ისიც რუსეთს განიხილავს თავის უპირველეს მოკავშირედ. მათი თხოვნით ხდება ეს. რომც არ ეთხოვათ, შეიძლება, მაინც დამდგარიყო ეს საკითხი. პლუს რუსეთმა გამოიყენა ის ფორმატი, რომელიც მათ შექმნეს ახალი სამხედრო ბლოკის სახით, რომელიც შეიქმნა ვითომ გარე ტერორისტული საფრთხეების აღკვეთის მიზნით, სადაც სომხეთიც არის ჩართული, ცენტრალური აზიის ქვეყნებიც და ბელორუსიც, ანუ რუსეთი ახორციელებს იმას, ვარშავის ხელშეკრულების პაქტი რომ იყო საბჭოთა კავშირის დროს, დაახლოებით იმის ანალოგი აქვს მას.

– ამ დროს დასავლეთი სად არის?

– როგორც გითხარით, დასავლეთი ძლიერად არ არის წარმოდგენილი სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით და არც არის მოსალოდნელი მათი ძლიერად ჩართულობა. უფრო ზოგადი ხასიათის შენიშვნაა მოსალოდნელი, თუმცა რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებზე ეს გავლენას იქონიებს. იქ უფრო საინტერესოა ჩინეთის პოზიცია, რომელსაც ყაზახეთთან აქვს ინტერესები და მჭიდრო ურთიერთობები.

რუსეთმა პრაქტიკულად ჯარი შეიყვანა, რაც ყაზახეთში გააძლიერებს ანტირუსულ განწყობებს. შესაძლოა, მოხერხდეს ამ პროტესტის ძალისმიერი მეთოდებით ჩახშობა, მაგრამ რეალურად რუსები ყაზახებისთვის დამპყრობლები და ოკუპანტები იქნებიან. ეს აუცილებლად ამოხეთქავს სხვა დროს. დასავლეთს რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს უკრაინისა და იმავე საქართველოს საკითხზე, ამიტომ, რაც ყაზახეთში ხდება, დასავლეთის პოზიცია უფრო მტკიცე და მყარი უნდა იყოს, ანუ დასავლეთის მხრიდან დათმობების ალბათობამ მოიკლო.

– დავუბრუნდეთ ქართულ რეალობას, სადაც, ყაზახეთისგან განსხვავებით, პოლიტიკური პროცესი მკვდარია და ვტრიალებთ ერთი თემის ირგვლივ. ვისზეც ვართ კონცენტრირებული, იმან – სააკაშვილმა – გვითხრა, რომ უნდა შეიქმნას „შავი სია“, სადაც შევლენ მოსამართლეები, პროკურორები და ა.შ. რამდენად სწორი იდეაა?

– სიმართლე გითხრათ, სააკაშვილის მოწოდებებს სერიოზულად არ აღვიქვამ. ის კაცი დღეს ერთს ამბობს, ხვალ – მეორეს. ერთ დღეს შერიგების იდეით გამოდის, მეორე დღეს – შავი სიის მოთხოვნით, ერთ დღეს კვდება, მეორე დღეს ეკონომიკურ პროგრამას წერს. მოკლედ, მისთვის მთავარია, პოლიტიკური ყურადღების ცენტრში იყოს. უბრალოდ, ზოგჯერ ზომიერება ღალატობს და ყოველდღე ახალ-ახალი იდეით გამოდის.

გასაგებია მისი სურვილი, რომ მთავარი პერსონა იყოს, იყოს ყურადღების ცენტრში და მთელი ოპოზიციური სპექტრი მიიბას. ცალსახად ჩანს, რაც სურს სააკაშვილს, არ არის რთულად გამოსაცნობი. აქ მეორე მომენტი უფრო მნიშვნელოვანია – დანარჩენები რას აკეთებენ საამისოდ. ძირითადად ასე ჩამოყალიბდა, რომ სხვა პარტიები, ნაცმოძრაობის გარდა, ამ ორწლიანი ურთიერთობის გამო გახდნენ პოლიტიკური მძევლები და მკაფიოდ და გარკვევით ვერ ამბობენ.

საგამოძიებო კომისიის შექმნა სააკაშვილის თემაზე, ჩემი აზრით, სრულიად აბსურდული იდეაა. მის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე კომისიის შექმნა შინაარსს მოკლებულია, რომელსაც „ქართული ოცნება“ სიამოვნებით მიესალმა. საპარლამენტო ოპოზიცია ამაზეც კი ვერ ამბობს, რომ ეს არ მოხდება. წესით, გარკვევით უნდა უთხრან, რომ – არა. ვერ ეუბნებიან და ვერც ეტყვიან.

– ეს იდეა აბსურდულად რატომ მიგაჩნიათ?

– აბსურდია, იმიტომ, რომ საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას მაშინ, როდესაც რაღაც არის გასარკვევი. აქ რა უნდა გავარკვიოთ?! ყველაფერი ვიცით, რაც სააკაშვილის გარშემო ხდება, მათ შორის ისიც, რა მოპყრობაც იყო მის მიმართ. სახალხო დამცველმაც ილაპარაკა ამაზე, არასამთავრობო სექტორიდანაც ლაპარაკობდნენ ამაზე, რაც ეხება მის გადაყვანას გლდანის ციხეში. სხვა რამე არის, რაც არ ვიცით და გასარკვევია?! სერიოზულად უნდა დავიწყოთ იმის გარკვევა, წამლავდნენ თუ არა მას მედიკამენტებით?!

ეს ხდება ერთადერთი მიზნით, რომ კვლავ სააკაშვილის გარშემო იყოს მთელი ოპოზიციური სპექტრი გაერთიანებული. აქ რა პირობებიც არ უნდა დაუყენონ... არ ვიცი, პოლიტიკური ურთიერთობების ანა-ბანაზე ვლაპარაკობთ. ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც დათანხმდება ამგვარი კომისიის შექმნას, სადაც ნაციონალურ მოძრაობას წინასწარ აქვს დასკვნა გამოტანილი, ამაში დარწმუნებული ვარ. რა თქმა უნდა, კომისიამ უნდა დაადასტუროს, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო სააკაშვილის მიმართ. აბა, იმისთვის იქმნება კომისია, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას არ უწამებია სააკაშვილი და მის მიმართ არაადამიანური მოპყრობა არ ყოფილა?! მართლა უნდა გაარკვიოს ეს საკითხები?! აქ თუ სხვა ოპოზიციური პარტიები იმდენს ვერ მოახერხებენ, ამაზე მკაფიოდ და ცალსახად უთხრან, რომ ეს არ მოხდება, მაშინ ისინი ვერასდროს მოახერხებენ ნაციონალური მოძრაობის გავლენისგან თავის დაღწევას. აქედან გამომდინარე, სულ ამ აბსურდულ და მარაზმულ სიტუაციაში ვიქნებით.

ხატია დეკანოიძე: „შავ სიებთან“ დაკავშირებით მე უფრო ფრთხილი ვიქნებოდი“

– სახელწოდება „შავ სიებთან“ დაკავშირებით მე უფრო ფრთხილი ვიქნებოდი – ზოგადად, აღნიშნული ინიციატივა დასავლური ქვეყნებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ხატია დეკანოიძემ განუცხადა.

დეპუტატის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა იმ პირების დადგენაა, ვინც ადამიანის უფლებებს ნამდვილად არღვევს. ამ კონტექსტში დეკანოიძემ ისიც აღნიშნა, რომ მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესება სრულიად რეალურად მიაჩნია.

– ეს დემოკრატიული ქვეყნებისთვის ახალი მოცემულობა არ არის. ძალიან ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილება გვაჩვენებს, რომ დასავლურ სამყაროს, იგივე აშშ-ს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ასეთი პირების, მათ შორის მოსამართლეების და სხვა სამართლებრივი უწყების წარმომადგენლების ვინაობა დაუდგენია და მათთვის სანქციები დაუწესებია. ეს არაფერ სიახლეს არ წარმოადგენს. საქართველოში მიტაცებული სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ადამიანის უფლებები აქტიურად ირღვევა, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ „ღირსების შემლახავი ფაქტების შესწავლის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექნის მიზნით“ პარლამენტში ხელმოწერების შეგროვებას გეგმავს.

როგორც ხატია დეკანოიძემ განმარტა, კომისიის შექმნაზე დადგენილების პროექტი პრაქტიკულად მზად არის, ხოლო ხელმოწერების შეგროვება პოლიტიკურად მნიშვნელოვანია, რათა „ქართული ოცნების“ მხრიდან მოსალოდნელი ნებისმიერი დაბრკოლება თავიდან აიცილონ.

მისივე თქმით, საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელად თამარ კორძაიას კანდიდატურა ესახება და იმედი აქვს, რომ მის ამ პოზიციას ფრაქციის მხარდაჭერა ექნება.

როგორც ხატია დეკანოიძე აცხადებს, კორძაია პარლამენტის დამოუკიდებელი ოპოზიციონერი დეპუტატია, ხოლო მისი სამართლებრივი ცოდნა და გამოცდილება საგამოძიებო კომისიის მუშაობის მხრივ მნიშვნელოვანია.

– აღნიშნული საგამოძიებო კომისიის შექმნის თემაზე გიორგი გახარიას პარტიის წარმომადგენლებთან ვისაუბრე. ჩვენ ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა. ერთმანეთს არგუმენტები გავუზიარეთ. ამ ეტაპზე ვერ შევთანხმდით, მაგრამ ვფიქრობ, რომ სხვადასხვა მიმართულებით მათთან თანამშრომლობა აუცილებელია, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

სემეკი: „შუქის, წყლისა და გაზის ტარიფის ზრდა არ განიხილება“

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) საზოგადოების სწორი ინფორმირების მიზნით, კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ არ გაზრდილა ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ტარიფები.

სემეკის ინფორმაციით, 2022 წლის პირველი იანვრიდან ტარიფები არ შეცვლილა და ძალაშია კომისიის მიერ წინა პერიოდში მოქმედი სამომხმარებლო ტარიფები. ტარიფების ზრდა არ განიხილება.

„პოლიტიკური პარტიები და სხვადასხვა პოლიტიკური პირები კიდევ ერთხელ ცდილობენ, რომ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში და საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო მოსახლეობას აწვდიან ცრუ ინფორმაციას.

სემეკი მოუწოდებს მოქალაქეებს, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და პირების მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმონ კომისიაში. სამომხმარებლო ტარიფებთან დაკავშირებით დაეყრდნონ მხოლოდ სემეკის ინფორმაციას, რადგანაც წლების განმავლობაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ოპოზიციური პოლიტიკური ინტერესების მქონე პირების მიერ ხშირად აქვს ადგილი მიზანმიმართულად საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას“, – ნათქვამია სემეკის განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თელმიკოს“ მოწილე კახა კალაძეა და მოსახლეობას აღვირახსნილად ძარცვავს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საარჩევნო წელი არ არის და „ბიჭებმა“ გადაწყვიტეს, ცხოვრება გაგვიძვირონ“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმაზე, რეალურად გაიზარდა თუ არა კომუნალური გადასახადები.

– ლაშა, ერთი მხრივ, სემეკი აცხადებს, რომ ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირსა და წყალმომარაგებაზე ტარიფები არ გაზრდილა, მეორე მხრივ კი მოქალაქეები გაორმაგებულ გადასახადებზე საუბრობენ. თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– ხელისუფლება უტიფრად იტყუება. ერთი მხრივ, გვიძვირებენ არა მხოლოდ ტრანსპორტს, არამედ ელექტროენერგიასაც. საქმე სიტყვებით გვეთამაშებიან, როდესაც გვეუბნებიან, გადასახადები არ გაზრდილაო. წელს არა, შარშან გაზარდეს. თუ გახსოვთ, მაშინ ჩვენ ეს გავაპროტესტეთ და ერთწლიანი დოტაცია ამოქმედდა.

– ერთი წელი მოსახლეობა არ გრძნობდა გაზრდილ გადასახადს სწორედ დოტაციიდან გამომდინარე?

– დიახ. წლევანდელი წელი არ არის საარჩევნო წელი, იმედი აქვთ, რომ ვადამდელი არჩევნებიც არ იქნება და ძალიან თამამად გაორმაგებული გადასახადები მოგვივიდა, დოტაცია შეაჩერეს. ეს მოხდა, რაც არ იცის ხალხმა. იმედი მაქვს, ხალხი გააცნობიერებს, რასთან აქვს საქმე.

მეორე საკითხი ეხება „თელმიკოს“. „თელმიკოს“ მოწილე გახლავთ კახა კალაძე. ეს არის კომპანია, რომელიც აღვირახსნილად ძარცვავს მოსახლეობას. პირადად საკუთარ მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ გაოთხმაგებული გადასახადი მომივიდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმავეს აცხადეს. თუ ასე არ არის, მაშინ დაგვიმტკიცონ, რომ გაზრდილი გადასახადები არ მისვლიათ ადამიანებს. ყველას ერთდროულად როგორ მოეჩვენა, რომ გადასახადები გაიზარდა?! რა თქმა უნდა, არ აღიარებენ იმ მაქინაციას, რომელთანაც საქმე გვაქვს. შემთხვევითი, ტექნიკური ხარვეზებიც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მაშინ ოფიციალურად უნდა გამოვიდნენ და ზედმეტად გადახდილი თანხა ან დააბრუნონ, ან ბალანსზე დაუჯდეს ხალხს. თუმცა, არა მგონია, ტექნიკურ პრობლემასთან გვქონდეს საქმე. თუ ასეა, ესეც მათი პრობლემაა და დროულად უნდა იზრუნონ მის გამოსწორებაზე. სამი, ოთხი ქვითარი რა უბედურებაა. ეს არის უტიფარი აღვირახსნილობა კომპანიის მხრიდან.

– სემეკი ავრცელებს განცხადებას, რომ პოლიტიკური პარტიები ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, არც ახლა გაზრდილა გადასახადი და არც მომავალში იგეგმებაო. რას უპასუხებთ?

– ერთი, ეს არის „თელმიკოს“ აშკარა უტიფარი, არასწორი დაანგარიშება, გაორმაგება, გასამმაგება და მეორე, მოხდა დოტაციის გაუქმება, ანუ ახლა კი არა, შარშან გააძვირეს, დოტაცია წელს მოიხსნა და ხალხმა იგრძნო, რომ გადასახადი გაიზარდა. ეს არის რეალობა.

– თქვენ სად ხედავთ გამოსავალს? შეიძლება, ტარიფების გაზრდის გამო ხალხი ქუჩაში გამოვიდეს?

– იმედი მაქვს, რომ ქართველი ხალხი ცოცხალია. მკვდრები თუ არ ვართ, ეს უტიფრობა უნდა გავაპროტესტოთ. ამ მაქინაციას არ უნდა შევეგუოთ. იმედი მაქვს, ხალხი არ შეეგუება ამ უტიფრობას და საკუთარ უფლებებს დაიცავს, ამ გაზრდას არ აპატიებს ხელისუფლებას. რადგან საარჩევნო წელი არ არის, „ბიჭებმა“ გადაწყვიტეს, ცხოვრება გაგვიძვირონ – ტრანსპორტი, ელექტროენერგია, გაზი, წყალი და ყველაფერი, რაც კი შეიძლება. ამ გადასახადების ატანა და შეგუება შეუძლებელია.

ამ ყველაფერში იკვეთება კორუფციული პრობლემა. არ შეიძლება, ამას ხალხი შეეგუოს. ტარიფების გაზრდის ნაწილი გასაიდუმლოებულია უკანონოდ და ხელოვნურად. ჩვენ თვეებია ვითხოვთ ამ ნაწილის გასაჯაროებას, მაგრამ ვერ მივაღწიეთ.

– შეიძლება, ოპოზიციამ ამ საკითხზე ითანამშრომლოს და საერთო პოზიციები შეაჯეროს? სააკაშვილი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნაზე საუბრობს, რომელიც ელექტროენერგიის გაძვირების საკითხს შეისწავლის.

– სააკაშვილი როდესაც ხელისუფლებაში იყო, მსგავსად იქცეოდა. საპარლამენტო კომისიისა და საერთოდ ამ პარლამენტის ეფექტურობის ჩვენ არ გვჯერა. თუ შეიქმნება და რამეს მოახერხებენ, ძალიან კარგი, მაგრამ, არა მგონია, საპარლამენტო კომისიამ რამე შეძლოს. მე მჯერა ხალხის, ქუჩაში გამოსული ხალხის, რომელიც საკუთარი უფლებებისთვის იბრძვის. ჩვენ აქცია გვაქვს დაგეგმილი, რომ ხელისუფლების ეს აღვირახსნილობა გავაპროტესტოთ. ყაზახეთში ორი დღის წინ სხვა კი არაფერი მოხდა, გაზრდილი ტარიფები გააპროტესტა ხალხმა. თუ ხალხი გამოვა ქუჩაში საკუთარი უფლებებისთვის, არა მხოლოდ ტარიფების დაწევას, ვადამდელი არჩევნების დანიშვნასაც კი შეძლებს.

დავით ზალკალიანი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ესაუბრა

აშშ-ის მხარის ინიციატივით საქართველოს ვიცეპრემიერ, საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვენდი შერმანს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. საუბრისას მხარეებმა განიხილეს რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო, უკრაინის ირგვლივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები და რუსეთის ფედერაციის მცდელობები საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეფერხების მიზნით.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა ვენდი შერმანს კოორდინაციისა და ინფორმაციის გაზიარებისთვის მომავალ კვირას აშშ-რუსეთის ორმხრივი დიალოგის, ასევე, ნატო-რუსეთის საბჭოსა და ეუთო-ს ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების წინ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აშშ-ისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის სიმტკიცესა და მნიშვნელობას ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან საუბრისას აღინიშნა, რომ რუსეთის მცდელობები, შეაფერხოს საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაცია წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებთან და მსგავსი რიტორიკა, რომელიც მიზნად ისახავს სუვერენული სახელმწიფოს უფლების შეზღუდვას აწარმოოს დამოუკიდებელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა სრულიად მიუღებელია.

საუბრისას, ასევე, აღინიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების ოკუპაცია და საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა თანამედროვე ევროპული უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აშშ-ის მხარის მიმართ მადლიერება გამოხატა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი მხარდაჭერისთვის.

საუბრისას მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებაზე და შეთანხმდნენ, რომ მომავალშიც განაგრძობენ კონსულტაციებს რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე.

ბიძინა კულუმბეგოვი: „ყველაზე კარგი იმუნური პასუხი „ბუსტერიან“ ადამიანებს უდასტურდებათ“

– ყველაზე კარგი იმუნური პასუხი „ბუსტერიან“ ადამიანებს უდასტურდებათ ან მათ, ვინც გადაიტანა ინფექცია და აცრაც ჩაიტარა.

ამის შესახებ ალერგოლოგ-იმუნოლოგმა ბიძინა კულუმბეგოვმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

– რასაკვირველია, ადამიანებთან, რომლებიც მხოლოდ ორჯერ არიან აცრილები ან ბუნებრივად გადატანილი ინფექციის იმედად არიან და აცრას არ იკეთებენ, სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებით, სამჯერ გაზრდილია რისკი, რომ ომიკრონით ისევ დაავადდნენ ნებისმიერ დროს, ინტერვალს მნიშვნელობა არ აქვს.

რასაკვირველია, გადატანიდან რაც უფრო მეტი დრო გადის, ინფიცირების რისკი იზრდება. შესაძლოა, ინფექცია დამთავრდეს და ორ კვირაშივე ავად გახდეს ომიკრონის შტამით. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანებმა გაითვალისწინონ ეს, განსაკუთრებით მათ, ვინც გადაიტანა, 30 დღის შემდეგ გაიკეთონ აცრა, იმუნური პასუხი იმდენად გაძლიერდება, რომ ომიკრონისგან დაიცავს, – აღნიშნა ბიძინა კულუმბეგოვმა.

აშშ-რუსეთის კონფლიქტი გარდაუვალია

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიოში მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესები მიანიშნებს, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის, სოციალური პრობლემების გარდა, უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკის საკითხებიც სასიცოცხლო ხდება. თავისი მკაფიო პოზიციის გამოხატვა მოუწევს საქართველოს ხელისუფლებასაც.

აშშ-სა და რუსეთს შორის დაგეგმილი მოლაპარაკებები, აგრეთვე ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა, ანალიტიკოსების აზრით, ვერ შეანელებს არსებულ დაძაბულობას და ვერ შეაკავებს რუსეთს უკრაინაში შეჭრისაგან.

დასავლელი ანალიტიკოსების ნაწილი თეთრი სახლის ლიდერს კრემლის მიმართ შემრიგებლურ და გაუმართლებლად დამთმობ გადაწყვეტილებებში ადანაშაულებს. გამოცემა „ჰილის“ შეფასებით, აშშ-სა და რუსეთს შორის კონფლიქტი გარდაუვალია, თუმცა აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ამას სათანადო ყურადღებას არ უთმობს.

გამოცემის მიმომხილველები ბაიდენს სისუსტედ უთვლიან იმას, რომ მან რამდენიმე თვის წინ სანქციები მოხსნა „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაზსადენზე. პუტინმა თავისი ულტიმატუმი უსაფრთხოების გარანტიებზე წამოაყენა სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის ევროპასთან დამაკავშირებელი მილსადენი აშენებული იყო.

ავტორების აზრით, ბაიდენი მიჰყვება გასუსვის (გაჩუმების) ობამასეულ სტრატეგიას. თავის დროზე ობამას ადმინისტრაციამ წაუყრუა რუსეთის მიერ ყირიმის მიერთებას და არ დაეხმარა უკრაინას. პუტინმა ევროპაში ბევრი აგრესიული ნაბიჯი გადადგა, ბაიდენის გუნდი კი, როგორც ჩანს, მას ერიდება და მუქარის შემცველი პრესრელიზებით შემოიფარგლება.

გამოცემის სიტყვებით, თუ ნამდვილად ასეა, მაშინ გაქარწყლდება ორი პოსტულატი. ჯერ ერთი, ის, რომ ბაიდენი აღადგენს აშშ-ის მოკავშირეების ნდობას; მეორეც, ის, რომ მისი წინამორბედი ტრამპი რუსეთის ხელში სათამაშო იყო.

„ჰილის“ შეფასებით, ამგვარი დათმობები ბაიდენს კატასტროფამდე მიიყვანს.

ავტორების თქმით, ახლანდელი დრო სავარაუდო აგრესიისთვის პუტინმა ტყუილად არ შეარჩია. 2024 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში შეიძლება ბაიდენმა ვერ გაიმარჯვოს. ამ შემთხვევაში რესპუბლიკელთა ნებისმიერი ადმინისტრაცია, რუსეთისთვის ხელსაყრელი ტრამპიც კი, ბევრად უფრო მკაცრები იქნებიან კრემლის მიმართ.

მიმომხილველების თქმით, ბაიდენის ადმინისტრაციას პრობლემები დაუგროვდა – ინფლაცია, კორონავირუსი, რეიტინგების დაცემა. ეს პრობლემები მოგვარებადია. ბაიდენის უმთავრესი პრობლემა პუტინია. მან მთლიანად დასავლეთსა და ნატოს წარუდგინა მოთხოვნების დაუჯერებელი ნუსხა, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს საბჭოთა იმპერიის აღდგენასა და ათეულობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის დანგრევას.

ავტორები პუტინის პრობლემებზეც საუბრობენ. რუსეთის პოლიტიკა და ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის. პუტინი აფართოებს რეპრესიებს. მისი პოპულარობა 2015 წელს 89%-ს შეადგენდა, ახლა კი 63%-მდე დაეცა. რუსეთის ფედერაცია დგას დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე და დამოკიდებულია მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულზე. რამდენიმე წელიწადში რუსეთის მოსახლეობა შემცირდება წელიწადში 1 მილიონი ადამიანით. ადრე დანაკარგი ივსებოდა იმიგრაციით ყოფილი საბჭო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ქართულ ოცნებაში“ დიდი დაპირისპირებაა“

ვახტანგ მაისაია: „საქართველოში ეკონომიკური მართვის გუნდი არ გვყავს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, 2021 წელს ქვეყანას რა საფრთხეები და პრობლემები ჰქონდა და ჩვენი უსაფრთხოების სისტემა გამოწვევებს როგორ გაუმკლავდა?

– პირველი პრობლემა კოვიდი და ბიოუსაფრთხოებაა, რომელიც საქართველოში არ განუხილავთ არც კონსერვატიულ და არც პოლიტიკურ დონეზე, არ არის დოკუმენტი, რომელიც ბიოუსაფრთხოებას ცალკე უსაფრთხოების სტრატეგიულ მიმართულებად გამოყოფდა. ბიოლოგიური უსაფრთხოება კოვიდ-19-სა და ომიკრონს უკავშირდება. საფრთხე კიდევ რჩება. მე-5 და მე-6 ტალღაც შეიძლება იყოს. ევროპაში გავრცელდა და საქართველოშიც შემოაღწევს.

მეორეა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. საშინელი ინფლაციაა, რომელმაც, ფაქტობრივად, მეზობელ ყაზახეთში გაზის ფერადი რევოლუცია გამოიწვია.

– ანუ ეკონომიკური ფაქტორები სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნის?

– დიახ, ეკონომიკური ფაქტორები, პირველ რიგში, ეროვნულ უსაფრთხოებას უქმნის საშიშროებას. ახლა ჩვენთან უაპელაციოდ გაზარდეს ტრანსპორტის საფასური, რამაც პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების კატასტროფული ზრდა გამოიწვია. ხელფასები და ინფლაცია აბსოლუტურად არ შეესაბამება ინდექსაციას. ჩვენთან ინდექსაცია არ ხორციელდება.

საქართველოში ეკონომიკური მართვის გუნდი არ გვყავს. ასეთმა არაეფექტურმა და დაუდევარმა პოლიტიკამ ყაზახეთში რევოლუცია გამოიწვია. ეკონომიკური პრობლემები შეიძლება პოლიტიკურ მდგენელზე გადავიდეს. პრეზიდენტმა ტოკაევმა ნაზარბაევი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადააყენა. არაფორმალურ ლიდერობას წერტილი დაესვა.

ეს გამოცდილება საქართველოშიც შეიძლება ბოლო ეტაპზე იყოს მიყვანილი – ეკონომიკურმა პრობლემებმა შეიძლება ქვეყანა აქამდე მიიყვანოს. ჩვენ ეკონომიკური უსაფრთხოების რეგისტრი არ გაგვაჩნია. ეკონომიკური უსაფრთხოება ახალი ტერმინია. არც უსაფრთხოების კონცეფცია გვაქვს. ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტს შევცვლითო და ისევ შეუცვლელია.

– მთავრობა უსაფრთხოების ახალ დოკუმენტებზე მუშაობსო.

– ჯერჯერობით ეს შედეგებზე არ აისახება. რაზე მუშაობენ, არ ვიცი. აქ ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაზე, უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაზე, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე უნდა იყოს საუბარი, რომელიც ახალ პრინციპებზე უნდა აიგოს და არა იმ პრინციპებზე, რომლებიც არ მუშაობდა. ასეთი დოკუმენტები დღევანდელ მთავრობას ჯერ არ შეუმუშავებია.

გარდა ამისა, სერიოზული პოლიტიკური კრიზისია, რომელიც მიხეილ სააკაშვილის არაფორმალურ ვიზიტსა და ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის მის ბრძოლას უკავშირდება, რამაც სერიოზული რყევები გამოიწვია და პოლიტიკურ ვერტიკალს საფრთხე შეუქმნა, მმართველ პარტიაშიც კი პარტიული, კლანური დაპირისპირება გამოიწვია, რაც ბოლო დროს გამწვავდა.

– რით გამოიხატება მმართველ პარტიაში დაპირისპირება?

– თუნდაც იგივე დაპირისპირება მმართველ კლანებს შორის.

– კერძოდ?

– კერძოდ, ჯანდაცვის მინისტრი გადააყენეს, პარლამენტის თავმჯდომარე გადადგა. ამბობენ, რომ შეიძლება ამას საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომა მოჰყვეს. ეს ყველაფერი ერთად მმართველ პარტიაშიც სერიოზულ გართულებებს ნიშნავს. 8 თვის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე რომ გადადგება და საერთოდ პარლამენტის მანდატს დატოვებს, ეს საკმაოდ დიდ დაპირისპირებაზე მეტყველებს.

– თქვეს, რომ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე კუჭავამ რაღაც დიდ პროექტზე უნდა იმუშაოს.

– არ მესმის, რა პროექტი უნდა იყოს იმისთანა, რომ ხალხმა ნდობა გამოგიცხადა, ქვეყნის მართვის უმაღლეს ორგანოში აგირჩია და შენ უარს ამბობ. მაშინ, პარლამენტში რატომ მოდიოდი? პოლიტიკური და არჩევითი თანამდებობა თუ ასეთი ხელწამოსაკრავია, მაშინ, ქვეყანაა ხელწამოსაკრავი. რა პროექტი უნდა იყოს იმაზე სერიოზული, რაც ახალი კონსტიტუციით პარლამენტის წევრობაა? ქვეყანაში პარლამენტი მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა. მთელი ბერკეტები პარლამენტს აქვს. სჯობს, ეს ზღაპრები თავიანთი კლანის წევრებს დაუტოვონ. პროფესიონალებს ასეთი ზღაპრების არ გვჯერა.

მესამეა სერიოზული პრობლემები, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტს მოუწია შერიგების პოლიტიკაზე საუბარი, რათა ქვეყანა პოლიტიკური ჩიხიდან გამოვიდეს.

მეოთხეა ის პროცესები, რომლებიც ვითარდება ჩვენ ირგვლივ – ეს არის ამერიკა-რუსეთის სერიოზული დაპირისპირება, ახალი ცივი ომის პირობებისა და ახალი იალტის ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც, როგორც ჩანს, ამა წლის 10-12 იანვარს იწყება, როდესაც რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებები იქნება. რაზე მოილაპარაკებენ ამერიკა და რუსეთი (ეს ორი გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრი), იმაზე ვართ დამოკიდებული, მათ შორის, მნიშვნელოვანია, საქართველოში როგორი პოლიტიკური სიტუაციაა.

– საუბარია იმაზე, რომ 5 სახელმწიფო, რომლებსაც აქვთ ატომური ბომბი, ცდილობს, ატომური დარტყმები არ დაუშვას.

– ძირითადი ამერიკა-რუსეთია, თუმცა ახალი ცივი ომი არა – ორპოლუსიანი, არამედ სამპოლუსიანია, ტრიპოლარული.

– ჩინეთიც? ანუ ამერიკა-რუსეთი და ჩინეთია?

– დიახ, ჩინეთი. რუსეთსა და ამერიკას შორის პირდაპირი მოლაპარაკებებია. გამორიცხული არ არის, ჩინეთსა და ამერიკას შორისაც დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკებები, რადგან რუსეთი და ჩინეთი მოლაპარაკებული არიან. მათ უკვე გადაინაწილეს გავლენის სფეროები და რაღაცნაირად თანამშრომლობენ.

შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკა აირჩია რუსეთმა და, შესაბამისად, ამ კუთხითაც ძალიან სერიოზულ პროცესებს ექნება ადგილი, საერთოდ საქართველო სად იქნება, დარჩება ევრაზიულ გავლენის სფეროში თუ ევროატლანტიკური გავლენის სფეროს შემადგენელი გავხდებით.

– ამ მოლაპარაკებების დროს (მათ შორის, ჟენევისა და მიუნხენის შეხვედრებზე) შეიძლება რუსეთმა უკრაინაზე გავლენა დაიბრუნოს? ან საქართველო ამ გარიგებებში სად შეიძლება აღმოჩნდეს, ევროპულ სივრცეში თუ რუსული გავლენის სფეროში?

– როდესაც ამერიკის საელჩოსა და საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ძალას შორის სერიოზული ბრძოლა იწყება, თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა.

– ანუ შეიძლება ამერიკამ დათმოს საქართველო იმ პრობლემების გამო, რომლებიც ქვეყნის შიგნითაა და ქვეყანას რუსეთის შემოტევებისაგან აღარ დაიცავს?

– ეს დამოკიდებულია ქართველ საზოგადოებასა და საქართველოს ხელისუფლებაზე. თუ საქართველოს ხელისუფლება ამერიკას განუდგა, ამერიკა ძალით არავის არაფერს მოახვევს თავს.

– საქართველოს დელეგაცია ახლახან იმყოფებოდა ამერიკაში, პრემიერი კი – ევროპაში. იქ გააკეთეს განცხადებები, სადაც ითქვა, რომ ჩვენ გვინდა ევროატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაერთიანება.

– ცნობილი ანდაზაა: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ეს არის ამოსავალი წერტილი. მე განცხადებების არასოდეს მჯეროდა და არ მჯერა. მთავარია, შედეგი რა არის. მე ვარ რეალპოლიტიკის მიმდევარი.

– ანუ შეიძლება დაშვება იმისა, რომ საქართველო რუსეთის ორბიტაზე აღმოჩნდეს?

– ყველა სცენარია მოსალოდნელი. რუსეთის გავლენის ქვეშ არ ვყოფილვართ? გამსახურდიას დამხობის შემდეგ საქართველო რუსეთის პირდაპირი სატელიტი და სამხედრო მოკავშირე იყო. 1995 წელს კოლექტიური უსაფრთხოების თანამეგობრობის წევრი გავხდით და რუსული ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის თაობაზე რუსეთს 25-წლიანი სამხედრო ხელშეკრულება გავუფორმეთ, თუმცა რუსეთის დუმამ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოახდინა, თორემ ჩვენ რატიფიკაციაც გავუკეთეთ და ხელიც მოვუწერეთ. მე მგონი, არ ვცდები.

– კი, მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა, 2008 წლის სამხედრო შემოჭრა, პირდაპირი ომი და ტერიტორიების ოკუპაცია ორ ქვეყანას შორის წყალგამყოფია.

– რა მნიშვნელობა აქვს. მე, ბუნებრივია, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ამას არ შევეგუებით, მაგრამ ქვეყანაში უკვე გაჩნდა ის სეგმენტი, რომელიც ამას ეგუება – ამბობს, რომ რუსეთი გადამრჩენელია. ახალი პოლიტიკური პარტია რომ გაჩნდა და პირდაპირ ამბობს, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზები უნდა იყოსო, ეს არ არის შემაშფოთებელი?

– იმ მოლაპარაკებებში, რომლებიც რუსეთსა და ამერიკას შორის პირველი პირების დონეზე იმართება, საქართველოს რაიმე ადგილი უჭირავს?

– საქართველოს ადგილი ამ მოლაპარაკებებზე არ ჩანს. უკრაინის საკითხი და სხვა თემები განიხილება. ჩვენი ქვეყანა იმ კუთხით ჩანს, რომ რუსეთს უნდა, საქართველო და უკრაინა ნატოში არ შევიდნენ. რუსეთმა ეს წერილობით მოითხოვა. რუსეთი ამერიკას ხელშეკრულებას სთავაზობს. არ ვიცი, ამერიკელები დასთანხმდებიან თუ არა ახალი მალტის ხელშეკრულების გაფორმებას.

იალტაში რომ მოაწერეს ხელი, გაინაწილეს ევროპაში არსებული გავლენის ზონები, რის შედეგადაც ახალი ცივი ომი დაიწყო. ახლა რუსეთი ცდილობს, ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მოხდეს. იმედია, ამას ამერიკული მხარე ხელს არ მოაწერს. მსოფლიო წესრიგი მხოლოდ ჩვენს სურვილზე ნამდვილად არ დგას. სამწუხაროდ, ყველა სცენარის განვითარებას ველოდები. არ გამოვრიცხავ ასეთი შეთანხმების გაფორმებასაც კი.

– გინდათ თქვათ, რომ თუ ამერიკას პრინციპულ საკითხებს წაუყენებენ, შეიძლება, საქართველო დათმონ?

– ასეთ პესიმისტურ სცენარსაც არ გამოვრიცხავ. საქართველო ასეთი კომპრომისების მსხვერპლი არაერთხელ ყოფილა. 1921 წელსაც საქართველო ერთა ლიგაში არ მიიღეს, ევროპამ თვალი დახუჭა, ბრიტანეთმა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულება გააფორმა და ამას შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობა.

– ძალიან სამწუხაროა.

– დღეს სიტუაცია ანალოგიურად ვითარდება. რუსეთმა ამერიკას პირდაპირ მოსთხოვა, ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს და 10-12 იანვარს ამას მიეძღვნება მოლაპარაკებების მთელი ციკლი. შეიძლება, მოლაპარაკებები ახლა ამ შედეგით არ დასრულდეს, მაგრამ მოლაპარაკებები გაგრძელდება და მომავალში რა იქნება, არავინ იცის. ამერიკის ადმინისტრაციის მაგივრად ვერ ვისაუბრებ.

– რის ფასად შეიძლება აიღოს ხელი ამერიკამ საქართველოზე?

– თუნდაც იმავე ბირთვული სტრატეგიული სტაბილურობის მიღწევის მიზნით. რუსეთი უკვე პირდაპირ ემუქრება ამერიკას ბირთვული დარტყმის სცენარის განხორციელებით.

– ჰო, მაგრამ ამერიკასაც ხომ შეუძლია, დაარტყას? ამერიკისთვის ბირთვული დარტყმის განხორციელება ასე ადვილია?

– ამერიკასაც შეუძლია დარტყმა, მაგრამ, ამაზე თუ წავა, ორი სხვადასხვა საკითხია. სხვა მომენტებიც არის. რუსეთმა შეიძლება კიდევ გააქტიუროს თავისი ინტერესები აღმოსავლეთში, ამერიკის კონტინენტზე, აფროამერიკაში. რუსეთმა შეიძლება დაიწყოს აფროამერიკის სახელმწიფოებთან პირდაპირი კავშირების დამყარება და, ვთქვათ, ამერიკის წინააღმდეგ მათი გამოყენება. ასეთ შემთხვევაში რუსეთი ჩაერევა ლათინური ამერიკის სახელმწიფოების საქმიანობაში.

მაშინ მონროს დოქტრინას საფრთხე შეექმნება, როცა 2003 წელს მონროს დოქტრინის მიხედვით გააფორმა თავისი პირდაპირი და უშუალო ჰეგემონობა. ამერიკა თვლის, რომ მთლიანად ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა უშუალოდ მისი სასიცოცხლო გავლენის ზონაშია და არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ჩაყოს ცხვირი მისი გავლენის ზონაში.

შეიძლება, ასე გადაათამაშონ: ევრაზიის ტერიტორიები მე და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები – შენ. შეიძლება, ჩინეთთან ურთიერთობის ფორმატში ამერიკელებს თავიანთი პოზიციები ჰქონდეთ. ამერიკის მთავარი სატკივარი არა რუსეთი, არამედ ჩინეთია. ჩინეთი უქმნის ამერიკას რეალურ საფრთხეს, მათ შორის, ეკონომიკური, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური უსაფრთხოების კუთხით.

ანარქიული ტრიპოლარული სამყაროა. ჩინეთს, ამერიკასა და რუსეთს აქვთ თავიანთი პირადი ეროვნული ინტერესები. ამერიკა და რუსეთი არიან ჩინეთის წინააღმდეგ, ჩინეთი და რუსეთი – ამერიკის წინააღმდეგ. ჩინეთსა და რუსეთს უფრო მეტი ხელშესახები წერტილები აქვთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩინეთისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაშია.

– თუ ვერ შეთანხმდნენ, ახალი მსოფლიო ომის დაწყებას უშვებთ?

– ამ ეტაპზე არც ერთი მხარე არ არის მზად მსოფლიო ომი გაჩაღებისთვის. ამის მზაობა ნამდვილად არ შეიმჩნევა არც ამერიკის ადმინისტრაციის, არც პუტინის რეჟიმისა და არც ჩინეთის მხრიდან. მხარეები შეეცდებიან, მონახონ საერთო ინტერესები და კონსენსუსს მიაღწიონ. არა მგონია, მსოფლიო ომის ინტერესი ჰქონდეთ. კარიბის კრიზისის დროს მზაობა იყო, ამერიკა და რუსეთი მზად იყვნენ, განეხორციელებინათ ბირთვული დარტყმები. ანდროპოვისა და რეიგანის დროსაც ანალოგიური სიტუაცია იყო ახლა, არა მგონია, მსოფლიო ამ დონეზე იყოს მისული.

– ბირთვული ტრიადის მფლობელი მხოლოდ ეს სამი ქვეყანაა?

– არა, ბირთვული ტრიადა 5 ქვეყანას გააჩნია. შვიდი ქვეყანაა ბირთვული კლუბის წევრი. ამ ხუთიდან სამი არის გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრი ანუ მსოფლიო ჰეგემონი. ბირთვული ტრიადა ანუ საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ბირთვული იარაღის გადატანის საშუალებები სამივე ქვეყანას განსხვავებული აქვს.

ამერიკელებში ბირთვულ ტრიადაში დომინანტობს სტრატეგიული ბომბდამშენები. რუსეთის ბირთვული ტრიადის ძირითადი ძალაა ბალისტიკური სახმელეთო ბაზებზე სტრატეგიული სახმელეთო კომპლექსები, ჩინეთისაც ასევე ბალისტიკური სტრატეგიული რაკეტებია, რაც არის ბირთვული ტრიადის ძლიერი მხარეები. ეს სამი ქვეყანა გლობალური გავლენის ცენტრია, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო წესრიგს.

აშშ–რუსეთის კონფლიქტი გარდაუვალია

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თა რესპუბლიკებიდან, ასევე – ყირიმით. ამჟამად ეს რესურსები ამოწურულია. კრემლი დაპირისპირებულია უკრაინასთან, ბელარუსები კი მის მოკავშირეებად რჩებიან მხოლოდ ლუკაშენკოს რეპრესიული რეჟიმის საშუალებით.

რუსეთის ულტიმატუმმა, აშშ-დან და ნატოდან მიიღოს წერილობითი გარანტიები ნატოს გაფართოების შეჩერებაზე, უკურეაქცია გამოიწვია.

სანამ ამ თემაზე მოსკოვი პასუხებს მიიღებს, კეთდება განცხადებები იმაზე, რომ ნატო მაინც გაფართოვდება, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით.

არ არის გამორიცხული, ნატოში შევიდნენ ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებიც აქამდე ნატოს მოკავშირე ნეიტრალურ ქვეყნებად ითვლებოდნენ.

შვედური მედია მოუწოდებს ქვეყნის ხელისუფლებას, გააკეთოს განაცხადი ნატოში შესვლაზე.

ფინეთი, რომელიც ალიანსში შესვლას არ გამორიცხავს, გააღიაზინა რუსეთის მუქარამ. კრემლი იმუქრება, რომ ფინეთის ნატოში შესვლას სერიოზული შედეგი ექნება. ფინეთის პირველი პირები აცხადებენ, რომ ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკას თავად გადაწყვეტენ.

შვედური მედიის დასკვნით, რუსეთი თავის კონფლიქტში დასავლეთთან ცეცხლზე ნავთს ასხამს და უპირისპირდება როგორც ნატოსა და ნატოს წევრ ქვეყნებს, ისე ბლოკის პარტნიორებს. კრემლი აზროვნებს ცივი ომის კატეგორიებით, როცა დიდ სახელმწიფოებს შეეძლოთ მსოფლიოს დაყოფა გავლენის ზონებად და პირობების კარნახი. როგორი სახელმწიფოც არ უნდა იყოს რუსეთი, მას უფლება არა აქვს, ვინმეს უკარნახოს თავისი პირობები, მით უმეტეს, რუსეთი არ არის ზესახელმწიფო.

ჰიბრიდული დემოკრატიის მქონე საქართველოს ადრე თუ გვიან მოუწევს უფრო მკაფიო პოლიტიკის განხორციელება საგარეო მიმართულებით. დიდი ალბათობით, გააქტიურდებიან პოლიტიკური პარტიები. თუმცა გაუგებარია, რა არგუმენტები უნდა მოიშველიონ „ნეიტრალიტეტის“ მომხრე პოლიტიკოსებმა, რომლებსაც ეტალონებად ფინეთი და შვედეთი მოჰყავდათ.

სააკაშვილმა ულტიმატუმი იანვრის ბოლომდე გადასწია

ინსპექტორის წარმომადგენელმა მესამე პრეზიდენტი გამოკითხა

ადვოკატ შოთა თუთბერიძის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა პროტესტის უკიდურესი ფორმების გამოყენებაზე ულტიმატუმის ვადა იანვრის ბოლომდე გადასწია.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სააკაშვილის აზრით, ეს პირობა მიზნის მისაღწევად უფრო მისაღები და ეფექტურია.

– მიხეილ სააკაშვილის პოზიციაა, რომ თუ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება და არ გაეწევა ადეკვატური სამედიცინო დახმარება იანვრის ბოლომდე, მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმებს. უკიდურეს ფორმას შეიძლება მოიცავდეს მათ შორის შიმშილობა, მაგრამ სხვა ფორმებით გამოხატვაც შეიძლება.

მისი აზრით, ამ სიტუაციაში ეს პირობა არის უფრო მისაღები და ეფექტური მიზნით მისაღწევად. მე არ მახსოვს არცერთი დარღვეული ულტიმატუმი ან დაპირება მიხეილ სააკაშვილის მხრიდან. განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომლებიც გაურბიან ობიექტური სასამართლოს ჩატარებას. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი ძალიან სერიოზულად აღიქვამს მის თითოეულ განცხადებასა თუ მოსაზრებას, – აღნიშნა შოთა თუთბერიძემ.

მისივე ინფორმაციით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ამ დრომდე სააკაშვილთან შეხვედრისას კონფიდენციალურობის შენარჩუნება რჩება.

– ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც რჩება ხანგრძლივ პრობლემად, გახლავთ სააკაშვილთან შეხვედრისას დასაცავი კონფიდენციალურობა. ჩვენ დღესაც არ გვქონდა საშუალება, რომ გვქონოდა კონფიდენციალური კომუნიკაცია და იყო მყარი ბარიერი აღმართული, ასევე ვერ მოვახერხეთ წერილობითი კორესპონდენციის მიმოცვლა, რაც არის ერთადერთი ფორმა. რომლითაც ვერ გაიგებენ ჩვენი საუბრის შინაარსს. მოვუწოდებ დაწესებულების უფროსებს, რომ ეს უმსგავსობა აღმოფხვრან და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, რომ დაგვეხმარონ ამის აღმოფხვრაში, – აღნიშნა შოთა თუთბერიძემ.

მიხეილ სააკაშვილს ორი მოთხოვნა აქვს – მასთან დამოუკიდებელი ექიმების ჯგუფი შევიდეს და კომუნიკაცია სრულყოფილად აღდგეს.

5 იანვარს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელმა სასჯელაღსრულების მე-12 დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილი გამოკითხა.

ვასილ კაკაშვილის ინფორმაციით, მესამე პრეზიდენტი გორის სამხედრო ჰოსპიტალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოიკითხა.

მისივე თქმით, სააკაშვილისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

– დავუსვით ყველა კითხვა, რაც შეეხებოდა გორის ჰოსპიტალში განვითარებულ მოვლენებს. კიდევ მოხდება სხვადასხვა პირის გამოკითხვაც, რომლებსაც ექნებათ საქმესთან დაკავშირებით რელევანტური ინფორმაცია. შესაძლოა, კიდევ გამოიკითხოს მიხეილ სააკაშვილი, თუ ამის საჭიროებას დავინახავთ.

მიმდინარე საქმეზე გამოკითხული არიან არა მხოლოდ ექიმები, არამედ 150-მდე პირი, როგორც პენიტენციარული სამსახურის თანამშრომლები, ასევე ექიმები და სხვა საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები, – განაცხადა ვასილ კაკაშვილმა.

დავით კრავეიშვილის მკვლელობაში ბრალდებულები დანაშაულს არ აღიარებენ

6 იანვარს 15 წლის დავით კრავეიშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე 2 ბრალდებულის სასამართლო პროცესი გაიმართა.

პროცესზე განიხილეს მტკიცებულებების დასრულების, ორივე ბრალდებულის პატიმრობაში დარჩენისა და საქმის არსებით განხილვაში გადაცემის საკითხი.

არასრულწლოვნის მკვლელობაში ბრალდებული არ ეთანხმებიან წარდგენილ ბრალს და დუმილის უფლებას ინარჩუნებენ.

– წარვადგენთ მტკიცებულებებს, განიხილება მათი დასაშვებობის საკითხი, აღკვეთის ღონისძიების საკითხი და ასევე საქმის არსებითი გადაცემების საკითხი. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, წარდგენილ ბრალდებას არ ვეთანხმებით და ვირჩევთ დუმილის უფლებას. გვაქვს რამდენიმე მტკიცებულება, გადავეცით უკვე ბრალდებას და დროთა განმავლობაში მოვახდენთ მათ გამოკვლევას, – განაცხადა ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატმა ოთარ ხურციძემ.

საქმის პროკურორის მტკიცებით, ორივე ბრალდებულის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობას ათეულობით მტკიცებულება ასაბუთებს.

მისივე განმარტებით, დაკავებული არასრულწლოვნების მიმართ გამოძიება ამოწურულია, ხოლო სხვა შესაძლო დამნაშავეების დადგენის მიზნით გამოძიება გრძელდება.

– ათეულობით პირდაპირი მტკიცებულება ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ორივე ბრალდებულმა – ერთმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა არასრულწლოვნის, ხოლო მეორემ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შეუტყობინებლობა.

რაც შეეხება მათ პოზიციას, ერთ-ერთი ბრალდებული, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ვინც არის გასამართლებული, ის პირველ ეტაპზე აღიარებდა ბრალს. ჩემთვის უცნობია, ახლა ამ ეტაპზე რა პოზიციას აფიქსირებს. თვითონ ის ფაქტი, რომ ამ არასრულწლოვნების მიმართ უკვე ამოწურულ იქნა გამოძიება და საქმე წარიმართა სასამართლოში, ეს დადასტურებულია. გამოყოფილია საქმე და გამოძიება გრძელდება სხვა პირების მიმართ თუ ვინმეს რაიმე ფორმით მიუძღვის ან თანამონაწილეობაში, ან დანაშაულის დაფარვასა და შეუტყობინებლობაში ბრალი, – განაცხადა პროკურორმა.

პროცესზე დაცვის მხარეს რამდენიმე შუამდგომლობა ჰქონდა. მათ შორის აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გირაოთი ჩანაცვლების თაობაზე. თუმცა, მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ორივე დაკავებული პატიმრობაში დატოვა.

გადაწყვეტილების მიზეზად მოსამართლემ რამდენიმე საკითხი დაასახელა, მათ შორის მიმალვა, ასევე დაკავებულების მხრიდან დანაშაულის ჩადენის საფრთხე და მოწმეებზე ზემოქმედება.

15 წლის მოზარდი ღიახვის ქუჩაზე 4 დეკემბერს მოკლეს.

„დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ყველა ექიმი უნდა დაისაჯოს“

სესილი ბუბუტეიშვილის ოჯახი პოლიციამ გამოკითხა

7 საათს გაგრძელდა ქუთაისის კლინიკაში საკეისრო კვეთიდან 2 კვირაში გარდაცვლილი 19 წლის გოგონას ოჯახის წევრების ქუთაისის პოლიციაში გამოკითხვა.

სესილი ბუბუტეიშვილის ოჯახმა გამოძიებას მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდა. მათი თქმით, გამოძიებას ნდობას უცხადებენ, იმედი აქვთ, რომ მათთვის სასურველი შედეგი დადგება და დამნაშავე დაისჯება.

გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალის ოჯახის წევრები გამოძიების პერიოდში ექიმისთვის ლიცენზიის შეჩერებას ითხოვენ. სესილი ბუბუტეიშვილი ქუთაისის კლინიკაში საკეისრო კვეთიდან 2 კვირაში გარდაიცვალა. ოჯახი მომხდარში კლინიკას ადანაშაულებს.

– მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია მომხდარის შესახებ, პაციენტის კლინიკაში შეყვანის დღიდან გარდაცვალებამდე. გავიარეთ აბსოლუტურად ყველა დეტალი. ნამდვილად არ იყო მარტივი პროცესი, ემოციური ფონიც, რა თქმა უნდა, იყო დიდი. ჩვენი მოთხოვნა და მიზანი არის ის, რომ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დაისაჯონ დამნაშავე ექიმები, – განაცხადა გარდაცვლილი გოგონას დამ.

თბილისში 26 წლის ქალი გარდაცვლილი იპოვეს

თბილისში, მიხაკო წერეთლის 9 ნომერში, ნახშირჟანგის გაჟონვის შედეგად 26 წლის ქალი გარდაიცვალა.

შემთხვევა 5 იანვარს, გვიან ღამით მოხდა.

გარდაცვლილი ქალი კარის შემტვრევის შემდეგ იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, ბინაში აკრძალული ღია წვის კამერიანი გაზის გამათბობელი და წყლის გამაცხელებელი იყო დამონტაჟებული.

26 წლის ქალის ოჯახის წევრები მასთან კონტაქტზე ვერ გავიდნენ, ამის შემდეგ ისინი ნათესავებს დაუკავშირდნენ, რომლებიც ახალგაზრდის საცხოვრებელ სახლთან მივიდნენ, კარი შეამტვრიეს და გოგონა გარდაცვლილი დახვდათ.

„კურიერის“ ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი მიხაკო წერეთლის ქუჩაზე ბინაში გირით ცხოვრობდა და ის სტუდენტი იყო.

– ბიძაშვილმა დაურეკა მეგობრებს, არ მპასუხობსო და მერე მოვიდნენ მეგობრები, ნახეს და უკვე გარდაცვლილი იყო, – ამბობს მეზობელი.

„თბილისი ენერჯის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილის თქმით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და დეტალებს მოკვლევა დაადგენს.

– სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და დაადგენს დანარჩენს მოკვლევა, მაგრამ ჩვენი პირველადი დათვალიერებით, სავარაუდოდ, პრობლემა იყო ღია წვის კამერიანი წყალგამაცხელებელი და ღია წვის კამერიანი დანადგარები. აღნიშნული დანადგარები იყო თვითნებურად დამონტაჟებული, სავარაუდოდ, სახლის მეპატრონის მიერ.

უმრავლეს შემთხვევებში ასე ხდება. ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენ ყველა აბონენტს, რომ როდესაც ქირაობენ და გადაწყვეტენ, რომ დაიქირაონ ან დაიგირაონ ბინა, მოგვმართონ ცხელ ხაზზე. ეს მომსახურება არის სრულიად უფასო, ჩვენ მიერ დათვალიერდება მათ მიერ დასაქირავებელი ბინა, მიეცემა შესაბამისი ინსტრუქციები და იცხოვრებენ ამ დაქირავებულ ბინაში უსაფრთხოდ, – განაცხადა გიორგი ლეფსვერიძემ.

თბილისში მარკეტის ძარცვის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ნ., ძარცვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობითვე, დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 4 იანვარს თბილისში, ვარკეთილში მდებარე „ბესტ მარკეტში“ შევიდა, მოლარე ოპერატორს ძალის გამოყენებით სალაროდან თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ძარცვას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მუსიკოსი კოტე კანდელაკი იპოვეს

ის კლინიკაშია გადაყვანილი

მუსიკოსი კოტე კანდელაკი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ის სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

კოტე კანდელაკი მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში ნახეს.

კოტე კანდელაკი 4 იანვრის ღამეს გაუჩინარდა და ბოლოს მცხეთაში ნახეს. საქმეში ჩართული იყო პოლიციაც.

„გუშინდელი საღამოს მერე ჩვენი მეგობარი კოტე კანდელაკი გაუჩინარდა. ვინმეს თუ რაიმე ინფორმაცია გაქვთ, იქნებ დაგვეხმაროთ მის პოვნაში!“ – წერდა სოციალურ ქსელში ალექსანდრე გაბუნია.

რუსთავში ჰიუნდაი ტოიოტას დაეჯახა

რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ახალგაზრდობის პარკის მიმდებარედ ერთმანეთს „ჰიუნდაისა“ და „ტოიოტას“ მარკის მსუბუქი ავტომობილები შეეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

კახეთში 63 წლის მამაკაცი ყოფილმა სიძემ დაჭრა

კახეთში ყოფილმა სიძემ 63 წლის მამაკაცი დაჭრა. შემთხვევა სოფელ კარდენახში 5 იანვარს მოხდა.

35 წლის მამაკაცმა ყოფილი სიმამრი კისრის არეში 4 მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით დაჭრა.

დაჭრილ 63 წლის მამაკაცს ოპერაცია გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალსში“ ჩაუტარდა და მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

როგორც დაჭრილი მამაკაცის მეუღლე, დალი საჩეჩელაშვილი, „რუსთავი 2“-თან აცხადებს, ყოფილმა სიძემ დანაშაულის იარაღად ხანჯალი გამოიყენა.

მისივე თქმით, ყოფილ სიძესთან კონფლიქტი ბავშვების საკითხზე ჰქონდათ, რადგან მამას ბავშვების წაყვანა უნდოდა, თავად კი ამის საშუალებას არ აძლევდნენ.

– პირუჩუმრად მოვიდა, დალია ერთი ბოთლი ლუდი. ნასვამ მდგომარეობაში იყო. შემოიპარა, გააღო კარი, მე ვიჯექი სავარძელში, ჩემი მეუღლე დივანზე იწვა, ვუყურებდით ტელევიზორს. ბავშვები თავის ოთახში იყვნენ, საწოლში, არ ეძინათ. გახსნა ქურთუკის ღილები, ამოიღო დიდი ხანჯალი და დაარტყა. თვითონ ვეღარ ამოაძრო, შეიძლება, ჩემთვისაც დაერტყა შემდეგ, არ ვიცი. არ ვუშვებდით სახლში, რადგან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა ჩემს მეუღლესა და შვილს, – აცხადებს დაჭრილის მეუღლე.

ბრალდებული პოლიციამ უკვე დაიკავა.

მიმდინარეობს გამოძიება.

პოლონეთში 4 ქართველი მამაკაცი დააკავეს

პოლონეთში პოლიციამ ძარცვისა და ყაჩაღობის ბრალდებით 4 ქართველი დააკავა. ისინი 20-25 წლამდე ასაკის არიან.

დაკავებული 4 პირიდან სამს იარაღის მუქარით ძარცვისა და ყაჩაღობის ბრალდება წარუდგინეს და მათ 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ, ერთს კი გამოძიება დანაშაულში თანამონაწილეობას ედავება.

„ქართული დანის ბანდა“ – ასე მოიხსენიებს პოლონური მედია დაჯგუფებას, რომელიც პოლიციამ ვარშავაში მომხდარი ძარცვიდან ერთი კვირის შემდეგ დააკავა.

პოლონური მედიის ინფორმაციით, თავდამსხმელები ფიზიკურად გაუსწორდნენ 2 მამაკაცს, რომლებიც 2021 წლის 9 დეკემბერს ვარშავის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი კლუბიდან ბრუნდებოდნენ.

დაჯგუფების წევრებმა იარაღის მუქარითა და შანტაჟით 24 და 26 წლის მამაკაცებს წაართვეს მობილური ტელეფონები და 2.000 პოლონური ზლოტი (1.534.46 ლარი).

ადგილობრივი მედია წერს, რომ ქართველები 16 დეკემბერს ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში დააკავეს.

რუსთავში ფეხსაცმელების საწყობი დაიწვა

რუსთავში, ე.წ. სტამბულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფეხსაცმელების საწყობში, 6 იანვარს ცეცხლი გაჩნდა.

დამწვარია შენობაში არსებული საქონლის დაახლოებით 50%.

მფლობელის თქმით, ზარალი, სავარაუდოდ, 10.000 ლარამდეა.

ადგილზე სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟები და პოლიცია იყო მობილიზებული.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ხანძრის გამომწვევ მიზეზს გამოძიება დაადგენს.

ალმათიში დემონსტრანტებმა 2 პოლიციელს თავი მოჰკვეთეს

ყაზახეთის ქალაქ ალმათის კომენდანტის ოფისის ინფორმაციით, დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირებას 13 სამართალდამცავი ემსხვერპლა, მათ შორის ორს აქციის მონაწილეებმა თავი მოჰკვეთეს.

ალმათის პოლიციის ცნობით, დიდია მსხვერპლი აქტივისტების მხარესაც. ღამის განმავლობაში მომხდარ არეულობას ათობით დემონსტრანტი ემსხვერპლა.

– ალმათის ადმინისტრაციულ შენობებსა და პოლიციის დეპარტამენტზე ღამით მასშტაბური შეტევა მოხდა. ათობით თავდამსხმელი ლიკვიდირებულია. მიმდინარეობს მათი ვინაობის დადგენა, – აცხადებენ ქალაქ ალმათის პოლიციის დეპარტამენტში.

ყაზახეთის ხელისუფლებამ 4 იანვარს თხევადი აირის ფასის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ განაცხადა, რასაც ჯერ მანგისტაუს რეგიონში, შემდეგ კი მთელ ქვეყანაში საპროტესტო აქციები მოჰყვა.

მასშტაბური დემონსტრაციების ფონზე ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ თოყაევმა მთავრობის გადადგომის გადაწყვეტილებას მოაწერა ხელი. ამის მიუხედავად, საპროტესტო აქციები ქვეყანაში კვლავ გრძელდება.

ფილადელფიაში კორპუსი დაიწვა

13 ადამიანი დაიღუპა

აშშ-ის ქალაქ ფილადელფიაში ერთ-ერთ კორპუსში ხანძრის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა.

– დაღუპულთა შორის, სულ მცირე, 7 ბავშვია, – განუცხადა ჟურნალისტებს ფილადელფიის სახანძრო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ხანძარი 6 იანვარს, ადგილობრივი დროით 06:00 საათზე, ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე საცხოვრებელ კორპუსში გაჩნდა.

როგორც ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ხანძარი, რაც კი ოდესმე უნახავს.

იტალიაში 50 წელს გადაცილებულთათვის ვაქცინაცია სავალდებულო გახდა

იტალიაში 50 წელს გადაცილებული პირებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო გახდა. რეგულაცია უკვე შევიდა ძალაში და 15 ივნისამდე იმოქმედებს.

იტალიის ხელისუფლებამ საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო გასული წლის ოქტომბერში გახადა. ამასთან, ყველა დასაქმებულს სამუშაო ადგილზე შესვლამდე ვაქცინაციის საბუთის ან კორონავირუსზე ტესტის უარყოფითი პასუხის ჩვენება უწევს.

პანდემიის დაწყებიდან დღემდე იტალიაში კორონავირუსის 6 მილიონზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

ვირუსს 138.000 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საფრანგეთში ტყუპი ტელეწამყვანი ძმები კოვიდმა იმსხვერპლა

საფრანგეთში ცნობილი ტელეწამყვანი ტყუპი ძმები – გრეგუარ და იგორ ბოგდანოვები – კორონავირუსმა იმსხვერპლა.

გრეგუარი – 28 დეკემბერს, მისი ძმა იგორი კი 3 იანვარს გარდაიცვალა.

72 წლის ძმები კორონავირუსზე აცრილი არ იყვნენ.

ახლობლების თქმით, ძმებს მიაჩნდათ, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი მათ კორონავირუსისგან დაიცავდა. ისინი არასდროს ყოფილან ავად და სჯეროდათ, რომ ეს ვირუსი მათთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, ფიქრობდნენ, რომ ვაქცინა უფრო საშიში იყო.

ბოგდანოვები კორონავირუსით დეკემბრის დასაწყისში დაინფიცირდნენ.

ძმები ბოგდანოვები 1980-იან წლებში გახდნენ პოპულარულები, მას შემდეგ, რაც სატელევიზიო გადაცემა წაიყვანეს. მათ წლების განმავლობაში სამეცნიერო– ფანტასტიკური სატელევიზიო გადაცემა ტემპს იქსი მიჰყავდათ, მოგვიანებით კი კიდევ ერთ გადაცემას, ტფ 1-ს, უძღვებოდნენ, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებს ეხებოდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მიხეილ ლომთაძემ ყაზახეთში 1,8 მილიარდი დოლარი დაკარგა

ყაზახეთში განვითარებული მოვლენების ფონზე მიხეილ ლომთაძის ქონება 1.8 მილიარდი დოლარით შემცირდა.

ფორბსის მიხედვით, წარმოშობით ქართველი, ყაზახეთში მომუშავე ბიზნესმენის ქონება ერთ დღეში 34.4%-ით, 3.4 მილიარდამდე შემცირდა და ამჟამად ლომთაძე უმდიდრესი ადამიანების სიაში 956-ე ადგილს იკავებს.

მედია წერს, რომ ყაზახეთში მომხდარი არეულობის პარალელურად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე მსხვილი ყაზახური კომპანიების აქციების ფასი დაეცა. მათ შორის, ყველაზე დიდი დანაკარგი სწორედ ლომთაძის კასპიზე მოდის.

5 იანვარს კომპანიის აქციები ყველაზე მეტად, 30%-ზე მეტით, ხოლო ჰალიკ ბანკის აქციების ფასი თითქმის 20%-ით შემცირდა.

ამავდროულად, ურანის უმსხვილესი მომპოვებლის აქციები ლონდონში 7%-ით დაეცა. პარალელურად, ურანის ფასი 8%-ით გაიზარდა და 45.25 დოლარი შეადგინა.

მიხეილ ლომთაძე რამდენიმე დღეა, აღარ იძებნება ბლუმბერგის მილიარდერების სიაში. უმდიდრესი 500 ადამიანის ჩამონათვალს ის გასული წლის მეორე ნახევარში შეუერთდა. ნოემბერში ლომთაძემ სია პირველად დატოვა, თუმცა 500-ეულს მალევე დაუბრუნდა.

მიხეილ ლომთაძე კასპის, ყაზახეთში უმსხვილესი გადახდისა და ფინტეჩის ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორია.

კომპანია ახორციელებს ონლაინგადახდის, შოპინგისა და პირადი ფინანსების მომსახურებას ყაზახეთსა და აზერბაიჯანში.

კასპი საჯაროდ ვაჭრობს ლონდონში. 2020 წელს კომპანიას დაახლოებით $6.7 მილიარდის აქტივები ჰქონდა.

სპორტი

კლოდ სორელი: „ქართველებს სარაგბო ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემა გააჩნიათ“

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ იოსებ ტყემალაძის ინიციატივით პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭო იქმნება, რომელიც ვეტერანი მორაგბეებითა და სხვადასხვა დარგის პროფესიონალებით დაკომპლექტდება.

საბჭო პერიოდულად შეიკრიბება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე პრეზიდენტისთვის რეკომენდაციებს მოამზადებს.

პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში იქნება ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი, რომელიც საქართველოში 1996 წელს ჩამოვიდა, ქართველ სპეციალისტებსა და მორაგბეებს რაგბის ანბანი შეასწავლა, გზა გაუხსნა ქართველ ლეგიონერებს ფრანგული კლუბებისკენ და საქართველო გაიყვანა პირველ, 2003 წლის მსოფლიო თასზე.

71 წლის სპეციალისტი რამდენიმე დღის წინ თავად ეწვია საქართველოს და ვეტერან მორაგბეებთან ერთად იოსებ ტყემალაძეს მრჩეველთა საბჭოს ფარგლებში პირველად შეხვდა.

– კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 1996 წელი. რატომ გადაწყვიტეთ იმ რთულ პერიოდში საქართველოში ჩამოსვლა?

– საქართველოში 1996 წელს ზაზა ქასაშვილისა და ბიძინა გეგიძის თხოვნით ჩამოვედი, რათა ჩამეტარებინა ქართული რაგბის აუდიტი. აქ ვნახე უდიდესი ენთუზიაზმი იმ ადამიანებში, რომლებიც რაგბიში იყვნენ ჩართული და მაშინვე ვთქვი, რომ ამ საქმის მიტოვება არ შეიძლებოდა. ერთი მხრივ, იყო სურვილი და მისწრაფება, მეორე მხრივ, დავინახე მოთამაშეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით.

– რა უფრო მეტად დაგხვდათ საქართველოში, რამაც აქ დარჩენა და მუშაობა გადაგაწყვეტინათ – ზოგადად ნიჭი თუ განსაკუთრებული თაობა?

– მორაგბეთა პოტენციალი და ფიზიკური შესაძლებლობები. ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან ცუდი სიტუაცია იყო და მოთამაშეები ფიზიკურადაც არ იყვნენ სასურველ ფორმაში, მაგრამ ჰქონდათ კარგი მორაგბისთვის საჭირო ყველა მონაცემი.

– რა იყო პირველი, რისი გამოსწორებაც დაიწყეთ?

– რომ ჩამოვედი, გამთენიის 4 საათი იყო და უკვე 10 საათზე რაგბის კავშირში ვიყავი. იქ 10 თუ 12 მწვრთნელი დამხვდა. თარჯიმნობას გია ჭუმბურიძე მიწევდა და დაფაზე დავწერეთ – რაგბის გაკვეთილი 1. დავიწყეთ საუბარი თანამედროვე რაგბიზე, ნაშუადღევს გავედით მოედანზე, სადაც პირველად შევხვდი მოთამაშეებს და იქ შემექმნა ის შთაბეჭდილება, რომელზეც ზევით მოგახსენეთ. მათ ჰქონდათ შესანიშნავი მონაცემები, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან სუსტები იყვნენ.

მწვრთნელებთან მე-2 დღესაც გავაგრძელეთ საუბარი. ისინი აქტუალურ კითხვებს მისვამდნენ და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გონიერ ხალხთან მქონდა ურთიერთობა, რომლებიც თანამედროვე რაგბის საფუძვლებს ძალიან სწრაფად აითვისებდნენ. ჩვენი გაკვეთილები გაგრძელდა და მასზე დასწრების მსურველთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. ერთი კვირის თავზე იძულებული გავხდით, რომ „ლოკომოტივის“ (ახლანდელი მიხეილ მესხი) სტადიონზე გადაგვანაცვლებინა, რადგან სივრცე არ გვყოფნიდა. მახსოვს, ბოლო შეხვედრას ტრიბუნებზე უკვე 70-80 კაცი ესწრებოდა და მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ ფული არ ჰქონდათ. ჩემი პასუხი იყო – არა უშავს, მოდით, ეს ფული ერთად ვიშოვოთ. წინსვლის უმოკლესი გზა იყო, რომ დავწინაურებულიყავით საერთაშორისო რეიტინგში და მსოფლიო რაგბისგან მეტ დაფინანსებას მივიღებდით. სწორედ ამ დახმარებამ მოგვცა საშუალება, განვითარების კუთხით პირველი ნაბიჯები გადაგვედგა.

– ქართული რაგბისა და საქართველოს ნაკრების წინსვლა მაშინ დაიწყო, როდესაც თქვენი ხელ შეწყობით ქართველ მორაგბეებს ფრანგული კლუბებისკენ გაეხსნათ გზა. მაშინ თუ ფიქრობდით, რომ ეს ასეთი შედეგის მომტანი იქნებოდა?

– კიპლინგის სიტყვებს გავიხსენებ – ეს გავაკეთე იმიტომ, რომ მეგონა, შეუძლებელი იყო. ეს გამოწვეული იყო აუცილებლობით, რადგან სავარჯიშოდ არანაირი პირობები არ გვქონდა. ვვარჯიშობდით პარკებში, ავტოსადგომებზე, მოთამაშეთა ეკიპირება იყო საშინელი და ზოგიერთი მათგანი საკმარისი რაოდენობით საკვებსაც ვერ იღებდა. მათი სურვილი, რომ დიდი რაგბი ეთამაშათ, ძალიან სცილდებოდა მათსავე შესაძლებლობას და გადაწყდა, რომ ისინი საფრანგეთში გაგვეგზავნა. თავიდან ცაბაძე, რუსკინი და რაფავა გავუშვით. მთლიანობაში, ფრანგულ კლუბებში 80-მდე მოთამაშე გავუშვით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ესენი არ იყო წამყვანი კლუბები.

– ბევრ ქვეყანაში გიმუშავიათ – ტუნისი, მაროკო, რუსეთი, მაგრამ ვერსად ვერ მიაღწიეთ ისეთ წარმატებას, როგორსაც საქართველოში. რა იყო ამის მიზეზი?

– ამის მიზეზი ქართველების შინაგანი კულტურა, სარაგბო ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემა და გათავისებაა. ქართველ მოთამაშეებს, რომლებიც საფრანგეთის ჩემპიონატებში ჩაერთვნენ, არასდროს შეუქმნიათ კლუბებისთვის პრობლემები. მათ აფასებდნენ თავგანწირვისა და თავდადებისთვის და, ჩემი აზრით, სწორედ აქედან დაიწყო წარმატება. ყველა ის წარმატება, რომლებსაც საქართველოს ნაკრებმა და მასთან ერთად მეც მივაღწიე, არის მოთამაშეების დამსახურება. ეს ყველაფერი მათმა სწორმა მიდგომამ განაპირობა. მათ მოუწიათ სამშობლოს, საკუთარი ოჯახების დატოვება, უამრავი მსხვერპლის გაღება, რათა ქართულ რაგბის ამ წარმატებისთვის მიეღწია.

– ცოტა ხნის წინ ბორდოში დაესწარით ისტორიულ თამაშს, რომელშიც საფრანგეთმა პირველად უმასპინძლა საქართველოს მსოფლიო თასს მიღმა. ამ დროს ფრანგი უფრო იყავით თუ ქართველი?

– შეუძლებელია, ჩემს სამშობლოს დავშორდე. ამავდროულად, მინდა გითხრათ, რომ ძალიან ამაყი ვიყავი იმ თამაშით, რომელიც ქართველებმა აჩვენეს.

– თქვენი მწვრთნელობის პერიოდში საქართველოს ლუქსემბურგთან, ბულგარეთთან, შვეიცარიასთან და მსგავსი დონის გუნდებთან უწევდა თამაში. მაშინ თუ ფიქრობდით, რომ დადგებოდა დრო და საფრანგეთი ტესტმატჩის გასამართად მიგვიწვევდა?

– გულახდილად რომ გითხრათ, მქონდა ასეთი გიჟური ფიქრები. სანამ საქართველოს ნაკრებს ჩავიბარებდი, კლუბთან ერთად 2-ჯერ ვიყავი საფრანგეთის ჩემპიონი და კარგად ვიცოდი, რას წარმოადგენდა უმაღლესი დონე. ჩემთვის მალევე გახდა ნათელი, რომ ქართველ მორაგბეებს შეეძლოთ ამ დონეზე ასვლა. მაგრამ განვითარება არ დასრულებულა და, დარწმუნებული ვარ, წინსვლა კიდევ იქნება.

– კიდევ რა დრო სჭირდება ქართულ რაგბის იმისათვის, რომ ტიერ 1 დონის სარაგბო ქვეყანა გახდეს?

– ეს დამოკიდებულია იმ სამუშაოზე, რომლის ჩატარებასაც მოახერხებთ. დარწმუნებული ვარ, დაახლოებით 5 წელიწადში, 2027 წლის მსოფლიო თასზე, შეგიძლიათ, ტოლსწორად ეთამაშოთ ნებისმიერ მეტოქეს და საუკეთესო 8-10 გუნდს შორის მოხვდეთ.

– საქართველოს რაგბის კავშირმა სხვა ვეტერან მორაგბეებთან ერთად პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოში მიგიწვიათ. რას ფიქრობთ ამ ფორმატზე, რამდენად წაადგება ქართული რაგბის მომავალს და როგორი იქნება თქვენი პირველი რჩევა?

– ძალიან აღელვებული ვარ, რადგან ცნობილ ქართველ ვეტერან მორაგბეებთან ერთად ამ საბჭოში მიმიწვიეს. რადგან უკვე ქართული პასპორტიც მაქვს, იმედია, იქ ისე მიყურებენ, როგორც ნამდვილ ქართველს! პირველ შეხვედრაზე ყველანი შევთანხმდით მთავარ პრიორიტეტზე – მთავარი არის ეთიკური მხარე. აუცილებელია, რომ სარაგბო ღირებულებები განვრცობილ და მიღებულ იქნეს მთელ საქართველოში. მშობლები უნდა დავარწმუნოთ, რომ შვილის რაგბიზე მიყვანით ისინი ხვდებიან მზრუნველ გარემოში, სადაც ზრუნავენ ბავშვების ჯანმრთელობაზე, განათლებაზე. როდესაც მორაგბე კარიერას ასრულებს, უნდა იცოდეს, რომ მასზე იზრუნებენ და მარტო არ დარჩება ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ რაგბიზე შვილის მიყვანით ის ღირსეულ ადამიანად აღიზრდება. ბავშვთა რაგბის განვითარება მთავარი პრიორიტეტია.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ პროფესიონალურ რელსებზე გადასვლით რაგბის ღირებულებებმა გარკვეულწილად მნიშვნელობა დაკარგა და უკანა პლანზე გადაინაცვლა?

– საკითხს ცოტა სხვანაირად შემოვაბრუნებდი. პროფესიონალიზმი არის დღევანდელი სპორტის აუცილებლობა. სპორტსმენი ვერ მიაღწევს უმაღლეს მწვერვალებს, თუ საქმეს პროფესიონალურად არ მიუდგება. რაგბი მოითხოვს დიდ სოლიდარობის გრძნობას. ამ სპორტში დევს ის ღირებულებები, რომლებსაც ვერ გაექცევი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაგბის ღირებულებები არ გაქრება თვით პროფესიული რაგბის წიაღშიც.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯოკოვიჩს ავსტრალიაში არ უშვებენ

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს, ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში, ცხადია, სურს, მაგრამ ანტივაქსერია და ეს პრობლემაა.

ჯოკოვიჩი კორონავირუსის აცრაზე უარს აცხადებს, რის გამოც ის ავსტრალიაში ან ითამაშებს, ან – ვერა.

ტურნირის ორგანიზატორებმა ჯოკოვიჩისთვის გამონაკლისი დაუშვეს და მელბურნში აუცრელიც კი მიიწვიეს, მაგრამ არავაქცინირებული ნოლე ავსტრალიის სასაზღვრო პოლიციამ ქვეყანაში არ შეუშვა.

ჯოკოვიჩმა საზღვარზე ვერ წარადგინა ყველა ის საბუთი, რომლებიც სადღეისოდ ავსტრალიაში შესასვლელად არის საჭირო. ჯოკოვიჩის მამა მელბურნში ქუჩის აქციებით იმუქრება, ადვოკატები კი საქმეში ჩაერთვნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „დიდი სლემის“ ტურნირების 20-გზის გამარჯვებულმა **რაფაელ ნადალმა:**

– მსოფლიო უკვე ძალიან დაზარალდა. აიცერი! თუ ნოვაკს ავსტრალიაში თამაში სურდა, უპრობლემოდ ითამაშებდა, თუმცა სხვა გადაწყვეტილება მიიღო. ცხადია, ამის უფლება ჰქონდა, მაგრამ ავსტრალიის ხელისუფლების რეაქციამაც არ დააყოვნა.

ავსტრალიის ღია პირველობა 17 იანვარს დაიწყება და 30 იანვრამდე გასტანს.

საქართველო და ფინეთი ყველაფერს ჰელსინკიში გაარკვევენ

ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის პირველ მატჩში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ფინეთს უმასპინძლა და მხოლოდ ფრეს გამორჩა – 22:22.

არადა, გამთანაბრებელი ბურთი ფინელებმა ზედ ბოლო წამზე გაიტანეს, თუმცა ჩვენი გუნდი მანამდეც არეული გამოიყურებოდა. თამაში ძალიან ცუდად დაიწყეს და 17 წუთში მხოლოდ 1 გოლი გაიტანეს. მართალია, ამ პერიოდში ჩვენი მეკარეც ყოჩაღობდა და ფინელებს მხოლოდ 4-ჯერ გაატანინა, მაგრამ ერთი გატანილიც რომ ძალიან ცოტაა?

საქართველოს ნაკრები მოგვიანებით გაიხსნა და უკვე მე-20 წუთზე ანგარიში თანაბარი იყო. კიდევ 2 წუთში საქართველო სულაც იგებდა. თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა და თითქოს ტაიმი ჩვენებს უნდა მოეგოთ, მაგრამ ბოლო 2 წუთში მეტობაში მყოფებმა 2 ბურთი გაუშვეს და 8:9 წააგეს.

შესვენების შემდეგ ფინელები უკვე 2 ბურთითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ჩვენმა გუნდმა იქვე ზედიზედ გაიტანა და მე-2 ტაიმის მე-6 წუთზე 13:10 დაწინაურდა. ფინელებმა ტაიმაუტი აიღეს და მოედანზე დაბრუნებულებმა გაათანაბრეს. მერე ისევ ჩვენებმა იყოჩაღეს და – 20:16.

თამაშის დამთავრებამდე 10 წუთი იყო დარჩენილი. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოახერხეს და მეტოქეს გათანაბრების საშუალება მისცეს, თანაც ისევ კაცნაკლულებს.

ბოლო წუთზე საქართველო მაინც იგებდა, უტევდა და მეტობაშიც იყო, მაგრამ 3 წამით ადრე ფინელებმა ცხრამეტრიანი გაათამაშეს და ბურთი სირენის თანხლებით შეაგდეს – 22:22.

საქართველოსა და ფინეთის ნაკრებები 9 იანვარს უკვე ჰელსინკიში ითამაშებენ, ორმატჩიანი ფლეი ოფის გამარჯვებული კი ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი შესარჩევი ეტაპის ჯგუფში გადაინაცვლებს.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ცინცაძე, ტორონჯაძე, ლაპიაშვილი, გავაშელიშვილი, კბილაშვილი, ცხოვრებაძე, ორჯონიკიძე, მაისურაძე, არსენაშვილი, ჭანტურია, გოგოლაძე, დარსანია, აბრამიშვილი, დიხამინჯია, წითელიშვილი, სიმონია.

კლოდ სორელი: „ქართველებს სარაგბო ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემა გააჩნიათ“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

– უკვე გაეცანით იმ რეფორმებს, რომლებიც დაწყებულია ან იგეგმება ქართული რაგბის მომავალი განვითარებისთვის. რას ფიქრობთ მათ შესახებ და რომელ რეფორმას გამოარჩევდით განსაკუთრებულად?

– პირველი, რაც ყველაზე მეტად მომეწონა, არის ის, რომ პრეზიდენტს აინტერესებს ყველას აზრი, ყველას უსმენს. ჯერჯერობით მისი ინიციატივები სწორი მიმართულებით ვითარდება.

– როდესაც საქართველოში მუშაობდით, სავარჯიშოდ ერთი მოედანიც არ გვქონდა, ახლა კი უკვე გვაქვს 27 მოედანი და დაანონსებულია 100 მოედნის მშენებლობის პროექტი.

– მოედანი ზედმეტი არასდროს არის. ესაა ხანგრძლივი პროექტი და ძალიან მომწონს, რომ ის მთელ საქართველოზეა გათვლილი. შედეგად, დიდი ქალაქებიდან მოშორებით მცხოვრებ ადამიანებსაც ექნებათ რაგბის თამაშის შესაძლებლობა და ეს აუცილებლად გახდება შედეგის მომტანი.

– თქვენ საქართველოს 7-კაცა ნაკრებსაც ავარჯიშებდით და წარმატებებიც გვქონდა – 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-10 ადგილი დავიკავეთ. რამდენად მნიშვნელოვანია 7-კაცა რაგბის განვითარება?

– 7-კაცა რაგბის განვითარებაზე უარის თქმა, ჩემი აზრით, რაგბის კავშირის წინა რამდენიმე ხელმძღვანელობის დროში განგრძობადი შეცდომა იყო. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ახლანდელ პრეზიდენტს კარგად ესმის 7-კაცას განვითარების აუცილებლობა. ყველა დიდ სარაგბო ქვეყანას ჰყავს მოთამაშეები, რომლებიც 7-კაცას მეშვეობით განვითარდნენ. დღეს ისეთი ნაკრებები, როგორებიც ესპანეთი და პორტუგალია არიან, 7-კაცაში საქართველოზე გაცილებით ძლიერები არიან და ეს არანორმალურია. ამან, შესაძლოა, 15-კაცა ნაკრებსაც შეუქმნას პრობლემები. 7-კაცა ოლიმპიური სახეობაა და საქართველომ უნდა გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა ოლიმპიადაზე ითამაშოს. ვიცი, რომ საქართველოს 7-კაცა ნაკრების ბედი ახლა ორი ყოფილი უძლიერესი მოთამაშის – გია ლაბაძისა და ბესიკ ხამაშურიძის ხელშია. მათ ყველანაირად დავეხმარები, თუმცა 7-კაცას მთავარი პრობლემა ის არის, რომ საუკეთესო მოთამაშეებს არ აგზავნიან ამ გუნდში. აუცილებელია, მწვრთნელებს გუნდში საუკეთესო მოთამაშეების აყვანის შესაძლებლობა ჰქონდეთ და, რა თქმა უნდა, ეს სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს 15-კაცა თუ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთან. რაგბი7 და მისი განვითარება უნდა იქცეს ერთ-ერთ პრიორიტეტად.

– ბევრი ფიქრობს, რომ 7-კაცას სპეციფიკური მომზადებიდან გამომდინარე, მოთამაშეთა სხვა კონტინგენტი სჭირდება.

– ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. ერთ მაგალითს მოვიყვან – ყველა უკანახაზელს, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ნაკრებშია, ზურგს 7-კაცას გამოცდილება უმაგრებს. კოვიდპანდემიის გამო 7-კაცას ტურნირები გაუქმდა, რის გამოც ფრანგმა მოშვიდკაცეებმა 15-კაცა რაგბიში გადაინაცვლეს და ისინი თავიანთ კლუბებში გამორჩეულად კარგები არიან. არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა 15-კაცა და 7-კაცა რაგბის შორის.

– საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბსა და მის პერსპექტივებზე რას იტყვით?

– ვთვლი, რომ საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი შესანიშნავად მუშაობს. თამაშის დონე, რომელსაც ისინი მაყურებელს სთავაზობენ, ძალიან მაღალია. ასევე მიმაჩნია, რომ იმ მოთამაშეებმა, რომლებმაც უკვე დაამთავრეს კარიერა, მაღალი დონის განათლება მიიღეს და შესაბამისი დიპლომებიც აიღეს. მაგალითად, დავით ზირაქაშვილს, აქვსენტი გიორგაძეს, გოდერძი შველიძეს, დავით ბოლღაშვილსა და სხვებს საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის კიდევ უფრო გაძლიერება შეუძლიათ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ წარმატებული უცხოელი მწვრთნელის მოწვევით თამაშის ხარისხი კიდევ უფრო უკეთესი გახდება?

– რა თქმა უნდა, საქართველოს ვერავინ აუკრძალავს ამა თუ იმ მიმართულების გასაძლიერებლად უცხოელი სპეციალისტის აყვანას, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ აღარაა აუცილებელი, საქართველოს ჰყავდეს სრულად უცხოელებით დაკომპლექტებული სამწვრთნელო შტაბი, როგორიც ჩემი ან მილთონ ჰეიგის მწვრთნელობისას იყო. ქართველმა მწვრთნელებმა სადავეები საკუთარ ხელში აიღეს და ეს ძალიან კარგია, რადგან ქართულ რაგბის უნდა ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული იდენტობა. დღეს საქართველოს ნაკრები განვითარების იმ წერტილზეა, რომ მეტი განვითარებისთვის არ უნდა მოახდინოს სხვა გუნდების სათამაშო სტილის კოპირება. დღეს საქართველო ჩამორჩება დიდ სარაგბო ქვეყნებს, მაგრამ, თუ გაიმეორებს იმას, რასაც სხვები აკეთებენ, მათ ვერასდროს დაეწევა. მან უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე სხვებმა და ჩამოაყალიბოს ქართული რაგბის იდენტობა, რომელიც დაკავშირებული იქნება თქვენს ხასიათთან და ბუნებრივ თვისებებთან. აუცილებელია, გვქონდეს განვითარების საკუთარი გზა და დღეს ამის საშუალება გვაქვს.

– ბოლო პერიოდის ქართული რაგბის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა შავი ლომია, რომელიც უკვე ჩაერთო რაგბი ევროპის სუპერთასში. როგორ ხედავთ მის პერსპექტივებს?

– გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი აზრით, ესაა საუკეთესო ინიციატივა, რომელიც უკანასკნელ 10-წლეულში განხორციელდა. მეტსაც გეტყვით, კარგი იქნება, თუ უახლოეს პერიოდში მეორე ფრენჩაიზიც გაკეთდება, რომელსაც ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების მიღების შესაძლებლობა ექნება. ამით სწრაფად მოხდება ქართული შიდა რაგბის დონის აწევა. ახლა მნიშვნელოვანია, რომ რაგბი ევროპამ ამ გუნდებს გაუხსნას გზა უფრო ძლიერი ევროპის საკლუბო ტურნირებისკენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იუოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პოლონეთის პრეზიდენტი; 2. შლამი, დანალექი ტბის, მდინარის ფსკერზე; 3. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველი მხატვარი; 4. იაპონური, ორგიკური მაგიდის სათამაშო; 5. აეროპორტი მადრიდში; 6. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 7. მდინარე ახალციხეში; 10. კათოლიკური ეკლესიის მამამთავარი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 12. სახელმწიფო ევროპაში; 13. ძველებური რბილი ტყავის დაბალყელიანი ფეხსაცმელი საქართველოში; 16. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 18. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს სკოლა; 19. გია დანელიას კინოკომედია; 21. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო; 24. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა.

თარაზულად: 1. დაბალი რანგის დიპლომატი; 3. გვარი, ჯიში, მოდგმა; 2. ტბა სამხრეთ საქართველოში; 9. სარკინიგზო ვაგონების სადგომი; 14. მდინარე ბერლინში; 15. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 22. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო სუფრაზე; 23. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 25. უკრაინული ბორშჩი; 26. რძის პროდუქტი; 27. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 28. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იჩქერია; 2. ბულონი; 3. ინტელექტი; 4. ემისია; 5. დისკანტი; 7. ელჩი; 11. მუტრუკი; 13. თიბათვე; 15. გონიო; 16. შელფი; 18. წყრთა; 19. როდეო.

თარაზულად: 6. ჩოხელი; 8. პუდინგი; 9. ფრიკასე; 10. რეზიუმე; 12. ნიცშე; 14. რაბინი; 17. ტაბაწყური; 20. სკუტერი; 21. მიშელი; 22. თუშეთი; 23. ნიკოლაძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბიტი; 2. ოდა; 3. ბოროდინი; 4. შუ; 5. ცუცხვათი; 6. პელე; 7. ცინიზმი; 10. ქროუ; 11. ბალახვანი; 12. კაპიტანი; 13. ჯაზი; 16. კურტუა; 18. ქორწილი; 19. შტანგა; 21. რაგბი; 24. მახრა.

თარაზულად: 1. ბაჯაღლო; 2. ბეკეში; 2. თუშეთი; 9. ჟოქო; 14. ხონგა; 15. ჩაჩავა; 17. პუფი; 20. ნახირი; 22. თქორი; 23. ტატამი; 25. კიი; 26. ტოგა; 27. მწდე; 28. ხორნაბუჯი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0890

ევრო — 3.4952

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1803

100 რუსული რუბლი — 4.0616

ამინდის პროგნოზი 7 იანვრისათვის



დანი ალვეში: „ბარსელონაში თამაში დიდი საჩუქარია“

ბარსელონის ბრაზილიელმა ახალწვეულმა დანი ალვეშმა თავის დებიუტზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონაში თამაში მისთვის დიდი საჩუქარია და შეეცდება, გულშემატკივრის მოლოდინი ბოლომდე გაამართლოს:

– ეს შეხვედრა საკმაოდ რთული გამოდგა, მაგრამ ჩვენ შევძელით გამარჯვება და მიხარია, რომ ასე მოხდა. ბარსელონამ კიდევ ერთი შანსი მომცა და ის უნდა გამოვიყენო.

5 იანვარს ბარსელონამ ესპანეთის თასის მატჩი 2:1 მოიგო და სწორედ ამ შეხვედრაში შედგა დანი ალვეშის დებრუნება.

მესი კორონავირუსისგან განიკურნა



პსჟ-ს არგენტინელი ლეგენდა ლიონელ მესი კორონავირუსისგან სრულიად განიკურნა და ტესტმა უარყოფითი პასუხი აჩვენა. მესის ვირუსი 2 იანვარს დაუდგინდა და მას შემდეგ სახლში მკურნალობდა.

როგორც ჩანს, მას გართულებები არ ჰქონია.

მესი უახლოეს დღეებში ვარჯიშს განაახლებს და, შესაძლოა, პსჟ-ს მომავალ შეხვედრაშიც მიიღოს მონაწილეობა.

კოუტინიომ, შესაძლოა, კარიერა ასტონ ვილაში გააგრძელოს

ბარსელონის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ, შესაძლოა, კარიერა ასტონ ვილაში გააგრძელოს, რომელსაც სტივენ ჯერარდი ხელმძღვანელობს.

ჯერარდს ყოველთვის მოსწონდა კოუტინიოს თამაშის სტილი და დიდი სურვილი აქვს, ფილიპე თავის გუნდში იხილოს.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კოუტინიოს ბარსელონიდან წასვლა სურს და კატალონიელები ამის წინააღმდეგი არ არიან.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მსახიობი ციალა გურგენიძე გარდაიცვალა

ქართული კინოსა და თეატრის მსახიობი ციალა გურგენიძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში ვრცელდება.

ციალა გურგენიძე მაყურებელმა განსაკუთრებით შეიყვარა ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“ ქეთო ყარაულაშვილის როლით.

1964 წლიდან იყო თბილისის მუსკომედიის თეატრის წამყვანი მსახიობი; შესრულებული აქვს რამდენიმე ათეული მთავარი როლი, მათ შორის:

ბუჭუტა (შ. ჯოჯუა „უცნაური მკვლელობა“), ბოლოქანქარა (ს. ცინცაძე „სიმღერა ტყეში“), მარიტა (ო. თევდორაძე „შვეიკი მიდის ფრონტზე“), ეკა, დოფინა (შ. მილორავა „სიმღერა თბილისზე“, „გზა, ყარამანს ქალი მოჰყავს“), ლოტა, მირანდოლინა, მარგო (გ. ცაბაძე „ჩემი შეშლილი ძმა“, „მირანდოლინა“, „კურკას ქორწილი“).

სხვა რეპერტუარი: ანჟელიკა (მოდუნიო „შავი ურჩხული“), ჩანიტა (მილიუტინი „ჩანიტას კოცნა“), თელი (ჰაჯიბეკოვი „არშინ მალალან“), მარჯორი (ლოუ „ჩემი მშვენიერი ლედი“).

ასტროპროგნოზი

7 იანვრისათვის

ვერძი – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ინტიმურ სფეროში უსიამოვნებაა მოსალოდნელი. ** კურო** – ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ ადვილად ახერხებთ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ბიზნესსაქმიანობა დღეს არასასურველია. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი ბუნების წიაღში გაატარეთ. ეცადეთ, დამშვიდდეთ და სულიერი ძალები აღიდგინოთ. საღამო ოჯახის წევრებს მიუძღვენით. **ლომი** – ერთდროულად მრავალი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ. პრიორიტეტი ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს მიანიჭეთ. **ქალწული** – იყავით დამთმობი. თხოვნაზე უარს, შეძლებისდაგვარად, ნურავის ეტყვით. **სასწორი** – დაუფიქრებლობა და აჩქარება ფინანსურად დაგაზარალებთ. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **ღრიანკალი** – წარმატების გასაღები საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში დევს. დაეხმარეთ ადამიანებს. **მშვილდოსანი** – ნუ აჩქარდებით. ერიდეთ მძიმე საქმის კეთებას. ყველა უსიამოვნება წარსულში რჩება. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** – ნუ გადაიღლებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ ან სულაც დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – ნებისმიერი საქმე დიდი დაკვირვებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. თავი შეიკავეთ კონფლიქტში ჩართვისაგან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ექიმი ავადმყოფს ეუბნება:

– მიჭირს დიაგნოზის დასმა, ალბათ ეს ალკოჰოლიზმის ბრალია.

– კარგით. მაშინ შემოგივლით, როდესაც გამოფხიზლდებით.

●●●

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– ლამაზი მოლაპარაკე თუთიყუში რომ გყავდა, რა უყავი?

– მოკვდა საცოდავი.

– რატომ, დაბერდა?

– არა, ჩემი ცოლისა და სიდედრის ლაპარაკში ერთი სიტყვაც კი ვერ ჩააკვეხა და...

●●●

ერთი მედდა მეორეს ეკითხება:

– საოპერაციოდან ასეთი ღრიალი რატომ ისმის?

– რა და ნარკოზს ჯერ არ უმოქმედია, ჩვენმა ახალგაზრდა ქირურგმა კი...

– რა, უკვე გაჭრა ავადმყოფი?

– არა, უბრალოდ, წარმოთქვა ფრაზა, რომელიც ავადმყოფის თანდასწრებით არ უნდა ეთქვა.

– რომელი?

– კარგი, გუგლო, რომელ მხარესაა ბრმა ნაწლავი?

●●●

პოლიციაში დაზარალებულს გამომძიებელი ეკითხება:

– შეგიძლიათ, თავდამსხმელი აღგვიწეროთ?

– დიახ, რა თქმა უნდა – მაღალი, მელოტი, წვერი, ულვაშები...

– გასაგებია... კაცი თუ ქალი?

●●●

ცოლი კორპორატიულიდან ბრუნდება და ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, არ იღრიალო, ყველაფერს გეტყვი: ყველა სვამდა, მაგრამ მე არ დამილევია, ყველა მამაკაცი და ქალი ერთმანეთს კოცნიდა, მაგრამ მე არავისთვის მიკოცნია. სალათს ვჭამდი, ვიცეკვე, კონკურსებში მივიღე მონაწილეობა. სულ ეს იყო, შენ ხომ ჭკვიანი ცოლი გყავს. გინდა, რამე მკითხო?

– კაბა რა უყავი?!

●●●

ანატომიის გამოცდაზე პროფესორი სტუდენტ გოგონას ეკითხება:

– ადამიანის რომელი ორგანო ითვლება სიყვარულის სიმბოლოდ?

– კაცის თუ ქალის?

– ღმერთო ჩემო, არადა, ჩვენ დროს ეს გული იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხატია და გვანცა ბუნიათიშვილები უნგრეთში კონცერტებს გამართავენ

ქართველი პიანისტები ხატია და გვანცა ბუნიათიშვილები უნგრეთის ქალაქებში კონცერტებს გამართავენ.

საკონცერტო ტურნე 13 იანვარს დაიწყება და 16 იანვარს დასრულდება.

პირველი კონცერტი პიანისტებს ქალაქ ბეკესკაბაში ექნებათ, სადაც ცნობილი კომპოზიტორების ცნობილ ნაწარმოებებს შეასრულებენ.

15 და 16 იანვარს ხატია და გვანცა ბუდაპეშტში დაუკრავენ.

ნუგზარ კვაშალი და ზურა კობეშავიძე ამერიკაში გაემგზავრნენ

მომღერლები ნუგზარ კვაშალი და ზურა კობეშავიძე ამერიკაში გაემგზავრნენ, სადაც ქართველი ემიგრანტებისთვის კონცერტებს გამართავენ.



საღამოები ამერიკაში წასული პოეტის, ლელა ნინუას, ორგანიზებით ნიუ იორკში ჩატარდება.

ნუგზარ კვაშალმა და ზურა კობეშავიძემ მონატრებული ქართველებისთვის სპეციალური საკონცერტო პროგრამა მოამზადეს. მათ რეპერტუარში აუცილებლად იქნება ყველა ქართველისთვის საყვარელი სიმღერები.

ციხისძირში ავტობუსის მოზაიკა აღდგინეს

დუშეთის რაიონში, ციხისძირში, ავტობუსის გაჩერების მოზაიკის აღდგენის პროექტის პირველი ეტაპი დასრულებულია.

ულამაზესი მოზაიკის აღდგენითი სამუშაოები 2019 წელს დაიწყო. პროექტის ავტორებს იმედი აქვთ, რომ უახლოეს მომავალში მოზაიკის აღდგენითი სამუშაოების მეორე ეტაპზე გადავლენ და წელს საზოგადოებას ულამაზეს მოზაიკას პირვანდელი სახით წარუდგენენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

9 იანვრამდე საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი

9 იანვრამდე საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 11 იანვრამდე დასავლეთ საქართველოში შენარჩუნებული იქნება თბილი და უნალექო ამინდი. ჰაერის ტემპერატურა +11, +16 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი. 9 იანვარს ზოგან იქროლებს აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში 6-8 იანვარს შენარჩუნებული იქნება უნალექო ამინდი, ხოლო 9 იანვარს მოიღრუბლება, ზოგან იწვიმებს, მთაში და მაღალმთაში მოთოვს, შესაძლებელია ქარბუქი და ნისლი. ჰაერის ტემპერატურა ბარში დღის საათებში +10, +15 გრადუსი იქნება, 9 იანვარს კი +5, +10 გრადუსამდე დაიკლებს. 10 იანვრიდან ისევ გამოიდარებს.

თბილისში 9 იანვრამდე შენარჩუნებული იქნება უნალექო ამინდი. ჰაერის ტემპერატურა 6-8 იანვარს +11, +13 გრადუსი იქნება. 9 იანვარს მოიღრუბლება, შედარებით აცივდება, მოსალოდნელია წვიმა და ნისლი. 10 იანვრიდან დედაქალაქშიც გამოიდარებს.

ჯოსვოიდი ›



შვეულად: 1. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 2. სევდიანი, ლირიკული ლექსი; 3. ყვითელი ფერის შემოდგომის ხილი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. ესტრადის მომღერალთა სახელწოდება საფრანგეთში; 7. პროვინციის მმართველი თურქეთში; 11. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 13. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 15. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 16. აღმოსავლური ტკბილეული; 18. ბრიტანეთის ნაწილი; 19. ისტორიული უძველესი ებრაული სახელმწიფო.

თარაზულად: 6. კინოსა და თეატრის ინგლისელი მსახიობი მამაკაცი; 8. მაწანწალას, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 9. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია; 10. მარცვლეული კულტურა; 12. სატანვარჯიშო იარაღი; 14. ხიდის საყრდენი ბურჯი; 17. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 20. ქართველი ველოსიპედისტი, მსოფლიო ჩემპიონი; 21. „ნბა“-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 22. ბელგიური ავიაკომპანია; 23. ისტორიული სატუსაღო პარიზში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა